ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ეთნოლოგია**

მეზურნიშვილი ქეთი

დღესასწაულები და გართობა-სანახაობანი მე-19-20 საუკუნეების თბილისში

ნაშრომი შესრულებულია ეთნოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თეიმურაზ გვიმრაძე
ისტორიის დოქტორი
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია XIX-XX საუკუნეში თბილისში არსებული დღესასწაულები და გართობა-სანახაობანი, რაც დედაქალაქს უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის. დღესასწაულები და გართობა - სანახაობანი ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი ძირითად საკითხს წარმოადგენს, რადგან ის ხალხის ყოფა - ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ხელს უწყობს თვითმყოფადი კულტურის ჩამოყალიბებას, რაც ეთნოსებს ერთმანეთისგან განასხვავებს. ეთნიკური კულტურა კი ეთნოსის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. ჩვენი კვლევის ძირითად ინტერესს წარმოადგენს თბილისური დღესასწაულების და მათი თანმხლები სპორტული სანახაობების შესწავლა და გაანალიზება. კვლევის მიზანი იყო შეგვეკრიბა და ერთად წარმოგვეჩინა XIX - XX საუკუნეებში თბილისში არსებული დღესასწაულები და სანახაობანი. ამისათვის გამოვიყენეთ, როგორც საისტორიო საბუთები, ისე ეთნოგრაფიული მონაცემები. თემაზე მუშაობისას გვერდი ვერ ავუარეთ იმდროინდელ პრესას, სადაც არაერთი ცნობაა შემონახული ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. დღესასწაულები ოთხ სადღესასწაულო ციკლად დავყავით. ვიხელმძღვანელეთ, როგორც ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდებით.

აღნიშნული ნაშრომი გასული საუკუნეების თბილისურ ყოფაში დადასტურებული დღესასწაულებისა და გართობა - სანახაობების ერთად შეკრების და ახლებურად გააზრების მცდელობას წარმოადგენს. გათვალისწინებულია არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

Annotation

This work discusses the holidays and entertaining shows in Tbilisi in XIX-XX centuries that made the capital city more exciting and versatile. Holidays and entertaining shows are the topics of research of ethnology/antropology as they are the indispensable parts of customs and traditions of people and help to develop the original culture according to which the ethnoss differ. Ethnical culture is essential to maintain and develop the ethnose.

The main purpose of our research is to study and analyse the holidays and sports competitions. The aim of the research was to collect and represent the holidays and shows/plays. The materials used include not only historical and ethnographic documents, but also contemporary press which provides a great amount of information on this topic. Holidays are divided into four holiday cycles according to empirical and theoretical and interdiciplinary or specific to field methods as well.

This work is an attempt to collect and analyse the holidays and entertaining shows in Tbilisi in previous centuries. The work is provided not only for specialists / experts but also for wide range of readers.

სარჩევი

შესავალი **5**

თავი I. ზამთრის ციკლის დღესასწაულები **9**

§1.1. ახალი წლის ტრადიციები 9

§ 1.2. შობის დღესასწაული 13

§ 1.3. ნათლისღება/ წყალკურთხევა 14

თავი II. გაზაფხულის ციკლის დღესასწაულები **16**

§2.1. ბერიკაობა-ყეენობა თბილისში 16

§2.2. გვირილების დღე და შვიდმაისობა 22

§2.3. ჭიაკოკონობა და ჭონეობა 23

§ 2.4. დოდოობა და ჯოჯოობა 29

§ 2.5. კვირაცხოვლობა 30

§2.6. ამქრის დღესასწაული 32

თავი III. ზაფხულის ციკლის დღესასწაულები **36**

§3.1. ვიჭაკი 36

§3.2. მთაწმინდობა 37

§3.3. სულთმოფენობა 39

§3.4 ელიაობა 40

§ 3.5. რიგისპური 42

თავი IV. შემოდგომის ციკლის დღესასწაულები 44

§ 4.1. თბილისობა 44

თავი V. სპორტული გართობა - სანახაობანი **46**

§ 5.1. კრივი და მისი სახეობები 46

§ 5.2. ჭიდაობა 48

§ 5.3. ცხენოსნობა და მისი სახეობები 49

დასკვნა **52**

გამოყენებული ლიტერატურა: **53**

შესავალი

ეთნოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად საკითხს სულიერი კულტურა წარმოადგენს. სულიერი კულტურა გულისხმობს ეთნოსის სულიერი მოღვაწეობის ყველა სფეროს: ენას, რელიგიას, მეცნიერებას, ხელოვნებას და სხვ. სულიერ კულტურაში უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ამა თუ იმ ეთნოსის თვითმყოფადი, განმასხვავებელი ნიშნები, მათი ტრადიციული ცხოვრების წესის ლოკალური მახასიათებლები (რ. თოფჩიშვილი 2010). ამ მხრივ, მეტად საინტერესოა თბილისი, სადაც მრავალფეროვანი დღესასწაულები და გართობა - სანახაობანი იმართებოდა.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ხალხმა მისი წარმოშობა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ თბილისი და მისი ახლომდებარე მიდამოები უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ოქროყანასა და მიცკევიჩის ქუჩაზე აღმოჩენილი კაჟისა და ოფსიდიანის ნატეხები მიგვანიშნებს ქვის ხანის ადამიანის სავარაუდო არსებობას ამ ტერიტორიაზე. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა დიდუბეში, რომელიც ენეოლითის პერიოდს განეკუთვნება (დ. ქორიძე 1955). დღევანდელი თბილისის ტერიტორია ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეში მჭიდროდ იყო დასახლებული. თუ პირველი მოსახლეობა ცხელმა წყაროებმა მიიზიდა, ციხე - სიმაგრის მშენებლობა, დასახლების ციხე - ქალაქად და შემდგომ დედაქალად გადაქცევა მხოლოდ ადგილმდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა აიხსნას. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა აბანოების ტერიტორია, სადაც თბილისი აღმოცენდა. დღეს ძნელია ციხე - ქალაქის დაარსების დროის, ანუ თბილისის ზუსტი ასაკის დადგენა, მაგრამ ის I - IV საუკუნეებში უნდა ვივარაუდოთ (თ. კვირკველია 1984). ამ დროიდან მოყოლებული თბილისი მეცნიერ-მკვლევართა ინტერესის სფეროშია მოქცეული.

თბილისი, არა მხოლოდ ისტორიული, არამედ ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა -ცხოვრება

განსხვავდებოდა საქართველოს ქალაქებსა თუ მხარეებში მცხოვრებთა ეთნოგრაფიული მახასიათებლებისგან. მრავალფეროვანია ის ტრადიციები, რაც თბილისის მოსახლეობისათვის იყო და არის ნიშანდობლივი.

მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს დღესასწაულების, წეს - ჩვეულებებისა და ტრადიციების შესწავლისადმი მიდგომის მრავალმხრივობა. ტრადიცია ზოგადი გაგებით ერთგვაროვან ჯგუფურ ჩვევას, მოვლენას აღნიშნავს, რომელიც წარმოქმნის შემდეგ გადაიცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ტრადიცია შეიძლება იყოს ძველი, შედარებით ახალი, ან ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბებული, როგორც კვლევისას დადასტურებული „თბილისობა“. ტრადიცების არსი და მნიშვნელობა ძალიან ფართოა, რადგან იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს (მ. გეგეშიძე 1978).

თემის მიზანი, ამოცანები და აქტუალობა: ნაშრომის მიზანია შევკრიბოთ და წარმოვაჩინოთ დღესასწაულები და გართობა - სანახაობანი, რომელიც XIX-XX საუკუნის თბილისისათვის იყო დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა კვლევის ამოცანებიც. კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა დღესასწაულთა და სხვა სანახაობათა ტრანსფორმაცია ან საერთოდ თბილისელთა ყოფიდან გაქრობა. თემა აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ზოგი ერთი დღესასწაული, რომელიც ჩვენს ნაშრომშია განხილული თანამედროვე ცხოვრებისათვის სრულებით უცნობია. საზოგადოებამ არაფერი იცის მათ შესახებ, ან მხოლოდ ზედაპირული ცოდნა აქვთ. ვფიქრობთ, აუცილებელია ახალი თაობას გავაცნოთ თბილისელთა ყოფის ის ტრადიციული ელემენტები, რაც გასული საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი.

კვლევის მეთოდები: ზემოთ აღნიშნულ თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები. ძირითადი მეთოდი, რომელსაც ნაშრომი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ეყრდნობა არის მეორეული ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს არსებული მასალის ხელახალ ანალიზს. გამოვიყენეთ შედარებით - ისტორიული მეთოდი, დოკუმენტების ანალიზი, კონტენტ - ანალიზი, ტიპოლოგიური და სტატისტიკური მეთოდები, რაც დაგვეხმარა შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებაში. ტიპოლოგიური მეთოდის საშუალებით გავაანალიზეთ საკვლევი საკითხის

მრავალფეროვნება და საერთო მახასიათებლების კლასიფიცირება. გარდა თეორიული მეთოდებისა, გამოვიყენეთ საველე კვლევის მეთოდები, კონკრეტულად, გამოკითხვისა და ინტერვიურების მეთოდები. ვხელმძღვანელობდით ნახევრადფორმალიზებული, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიურების მეთოდებით. მთხრობელთა ინტერესებიდან გამომდინარე, თემაში მხოლოდ მათ სახელებს და ასაკს ვასახელებთ, მამის სახელსა და გვარს მხოლოდ ინიციალის დონეზე.

საჭირო მასალის შეკრების შემდეგ, შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ მონაცემთა სინთეზი და ანალიზი.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შესდგება ხუთი ძირითადი თავისგან, რამდენიმე ქვეთავისგან, ქართულ და ინგლისურენოვანი ანოტაციისგან, შესავლისა და დასკვნისგან. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომში დღესასწაულები დავყავით ოთხ ძირითად ციკლად: ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ციკლის დღესასწაულები, ცალკე გამოვყავით გართობა - სანახაობანი, რომლებიც ახლდა თითქმის ყველა დღესასწაულს. ყურადღება ძირითადად სახალხო დღესასწაულებზე გავამახვილეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლიდით საეკლესიო დღესასწაულებს.

პირველ თავში განხილულია ზამთრის ციკლის დღესასწაულები: ახალი წელი, შობა და წყალკურთხევა. ახალი წელი წლის დასაწყისად, პირველ დღესასწაულად ითვლება და სწორედ ამიტომ პირველი მას განვიხილავთ, როგორც „თავი დღესასწაულს“.

მეორე თავი საგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლს მივუძღვენით. მასში განხილულია ბერიკაობა - ყეენობა, „გვირილების დღე“, შვიდმაისობა, ჭიაკოკონისა და ჭონას რიტუალი, დოდოობა, ჯოჯოობა, კვირაცხოვლობა და ამქრის დღესასწაული.

მესამე თავში საუბარია ზაფხულის ციკლის დღესასწაულებზე: ვიჭაკის რიტუალი, მთაწმინდობა, სულთმოფენობა, ელიაობა და რიგისპური.

მეოთხე თავი საშემოდგომო ციკლის დღესასწაულებს დაეთმო, სადაც მხოლოდ თანამედროვე დღესასწაული თბილისობა განვიხილეთ. თემაზე მუშაობისას არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ეთნოგრაფიულ ველზე მუშაობისას ვერ დავაფიქსირეთ სხვა საშემოდგომო ციკლის დღესასწაულები. ვფიქრობთ, ეს განპირობებულია

დედაქალაქის ცხოვრების წესიდან, რადგან აღნიშნული ციკლის დღესასწაულები და რიტუალები ძირითადად ხალხის სასოფლო - სამეურნეო ყოფასთან არის დაკავშირებული. უფრო კონკრეტულად კი მოწეული მოსავლის აღება - დაბინავებას ეძღვნება. თბილისის მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა, განსაკუთრებით თავად - აზნაურობა, რომლებიც მამულებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფლობდნენ, მიემგზავრებოდნენ თავიანთ სოფლებში ჭირნახულის ასაღებად, რომელიც მათი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა. სოფლად, მოსავლის აღება - დაბინავებას მთელი ოჯახი დღესასწაულობდა. თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ნალიას ლოცვის ან ნამუშიერის ტაბლის სახელით ცნობილი რიტუალი გურიაში; პირველი და მეორე ჭაბუკობის დღესასწაული რაჭაში, რომელიც ხვავისა და ბარაქისათვის იყო განკუთვნილი; ვენახის დალოცვის ჩვეულება და დადეგობის დღესასწაული აჭარაში; შქვითული აჭარაში; სამთიბლოს, თიბისთავის და ნამუშავლის სამხვეწროს რიტუალი ხევსურეთსა და მთიულეთ - გუდამაყარში, რომელიც თიბვასთან იყო დაკავშირებული (თ. ღუდუშაური 2010).

მეხუთე თავში საუბარია სპორტულ გართობა - სანახაობებზე, განხილულია კრივი, ჭიდაობა, ცხენოსნობა, ცხენბურთი, რადრაბაგანი და ა.შ. ასეთი სანახაობები დღესასწაულს უფრო მრავალფეროვანს და სახალისოს ხდიდა.

თავი I. ზამთრის ციკლის დღესასწაულები

§1.1. ახალი წლის ტრადიციები

საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი საისტორიო ცნობების მიხედვით, IV საუკუნეში ახალ წელს აგვისტოში ზეიმობდნენ, შემდეგ მარტში, დაახლოებით X საუკუნეში ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციად იანვარი დამკვიდრდა.

ახალი წელი წლის დასაწყისად ითვლებოდა და ხალხი მას დიდი სამზადისითა და სიხარულით აღნიშნავდა, რადგან მათ სჯეროდათ, რომ როგორც შეხვდებოდნენ წლის პირველ დღესასწაულს მთელი წელი ასე გაგრძელდებოდა. ახალი წელი ითვლებოდა ხვავის, ბარაქის, სიკეთის, იმედის მომტანად, რომელსაც წინა წლის ჭირ-ვარამი თან უნდა წაეღო.

თბილისშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ახალი წლისათვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. სამზადისი რამდენიმე დღით ადრე - კარ-მიდამოს დალაგებით იწყებოდა. ოჯახის დიასახლისები საგულდაგულოდ ასუფთავებდნენ ოთახებს, ბერტყავდნენ ნოხებსა და ფარდაგებს. მტვრის ნაწილაკიც კი არ უნდა ყოფილიყო სადმე. საახალწლოდ სახლებს საგულდაგულოდ ლამაზად რთავდნენ. სახლ-კარის დალაგების შემდეგ იწყებოდა საახალწლო კერძებისა და ტკბილეულის მომზადება. დიდი ყურადღება ეთმობოდა გოზინაყისა მომზადებას, რომელიც დღესასწაულის მთავარ ტკბილეულად ითვლებოდა. გოზინაყისთვის ნიგოზს ან ნუშს წინასწარ წვრილად ჭრიდნენ. "*დაჭრილ ნიგოზს ჯერ ცეცხლზე მოხალავდნენ, შემდეგ კი ადუღებულ თაფლთან ერთად მოხალავდნენ. ცხელი ნიგვზის ფაფას ცივი წყლით დასველებულ საგანგებოდ დამზადებულ ფიცარზე, ანდა სინზე მოასხამდნენ და გააბრტყელებდნენ. გაცივების შემდეგ გოზინაყს ჭრიდნენ სამკუთხედის ანდა რომბის ფორმის პატარ-პატარა ნაჭრებად.*

ქართველის ოჯახში გოზინაყთან ერთად ამზადებდნენ ანთროპომორზული ფორმის ადამიანის გამოსახულების მქონე ნამცხვარს - ბასილას, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ წმინდა ვასილ დიდს დაუკავშირა. ცხვებოდა აგრეთვე სხვადასხვა ფორმის

ნამცხვარი , რომელთაც ბედნიერების მოტანის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ბედნიერების მომტან ნამცხვარს აყრიდნენ ქიშმიშს. ცხობის პროცესში ცომი კარგად უნდა გაფუებულიყო და აწეულიყო. ცომის დაცემა ცუდის მომასწავებელი იყო" [თ.ბერიძე 1980:99-100].

ახალი წლის დადგომას მთელი ოჯახი ერთად აღნიშნავდა. ძველ თბილისში თოფების სროლა, ხალხის ყიჟინა, დუდუკის, ზურნის და არღანის ხმა ისმოდა.

თ. ბერიძე თბილისური ახალი წლის ტრადიციებთან დაკავშირებით ასევე აღნიშნავს, რომ ახალი წლის ღამეს ოჯახის უფროსი მამაკაცი გარეთ გადიოდა, რომელსაც შეშის ნაჭერი ანდა მუგუზალი შემოჰქონდა. მას ბუხართან ან კერასთან მიიტანდა და ძირს დარტყმით უამრავ ნაპერწკალს გააყრევინებდა და თან ილოცებოდა: ამდენი ოქრო. ხორბალი და პური თქვენს ოჯახსო. ხორბალს ოთახის ყველა კუთხეში აბნევდა, რათა ოჯახს ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებოდა. ოჯახის ყველა წევრს ტკბილ წყალში ან თაფლში ამოვლებულ პურს აჭმევდა, ასე ტკბილად დამიბერდითო.

ახალი წლის ცერემონიის განუყოფელი ნაწილია მეკვლე - წლის პირველი სასურველი სტუმარი, რომლის "ფეხზეცაა" დამოკიდებული ოჯახის მომავალი. მეკვლეს წინასწარ ირჩევდნენ. ის აუცილებლად საზოგადოებაში თვისებებითა, ხასიათითა და საქმით გამორჩეული პიროვნება უნდა ყოფილიყო. მეკვლე არჩეულ ოჯახში ახალი წლის დადგომის შემდეგ მალევე უნდა მისულიყო, რათა სხვებს არ დაესწროთ, მაგრამ ამ დაუპატიჟებლად მაინც ერიდებოდნენ ახლობელთან მისვლას, რადგან როგორც აღვნიშნეთ, მეკვლეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. თუ წელი წარმატებული და ბარაქიანი იქნებოდა ოჯახისათვის მეორე წელსაც იმავე მეკვლეს აირჩევდნენ. მას ოჯახში აუცილებლად უნდა შეეტანა მარცვლეული, რაც გამრავლებისა და ბარაქის სიმბოლური გამოხატულება იყო; ტკბილეული, რათა ბედნიერი წელი ჰქონოდათ, ასევე იცოდნენ ნამცხვრების, ხილის და სასმელის წაღება. ეს ყველაფერი კი მეკვლის ოჯახის ეკონომიკურ-ფინანსურ მხარესა და სურვილზე იყო დამოკიდებული. მეკვლე, როგორც კი ოჯახში ფეხს შესდგამდა ხმამაღლა წამოიძახებდა:

"შემოვდგი ფეხი,

გწყალობდეთ ღმერთი,

ფეხი ჩემი

კვალი ანგელოზისა".

ამის შემდეგ სასმელით სავსე თასს მიაწვდიდნენ და ოჯახს დალოცავდა. საახალწლო ლხინი გვიანობამდე გრძელდებოდა. მეკვლის მოსვლის შემდეგ მეზობლები და ნათესავები მიდიოდნენ ერთმანეთთან დღესასწაულის მისალოცად. ახალ წელს ოჯახის დიასახლისები სახლიდან არ გადიოდნენ, რადგან ისინი სტუმრებს უნდა გამასპინძლებოდნენ (თ. ბერიძე 1980).

ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, საველე კვლევისას, დავაფიქსირეთ, რომ XIX-XX საუკუნეში თბილისელები ახალი წლის ღამე სახლის კარს ღიას სტოვებდნენ, სიცივის მიუხედავად კარის დახურვა არ შეიძლებოდა. მათი რწმენით, ქუჩებში ამ დროს ბედნიერება და სიხარული დადიოდა და მათ ოჯახშიც უნდა შემოსულიყო. აუცილებელი იყო, ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად, მაგიდაზე სანთლის ანთება, ამ ქმედებით კეთილ ანგელოზებს მოუხმობდნენ. მთხრობელმა ასე აღწერა თბილისში ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია: *"ახალი წლისთვის ყველა ვემზადებოდით. მახსომს, ბავშვები უფრო ძალიან ველოდებოდით. დედას გოზინაყის გაკეთებაში ვეხმარებოდით, ორი-სამი კვირით ადრე კი ჩურჩხელებს ვავლებდით, ბადაგს სოფლიდან გვიგზავნიდნენ. მახსომს, ბებიაჩემი ძალიან ხნიერი იყო, დაჯდებოდა და ნიგოზს ან თხილს ასხამდა ხოლმე ძაფებზე ჩურჩხელისთვის. ბავშვები ვუმტვრევდით ნიგოზს ან თხილს, იმ წელს რასაც გამოგვიგზავნიდნენ სოფლიდან. ბავშვები ზოგჯერ გაშრობასაც არ ვაცლიდით ხოლმე და სველ ჩურჩხელას ვჭამდით. დედა ბრაზდებოდა ხოლმე და გვეტყოდა: "უი, თქვეე ძაღლის შვილებოო". ბავშვებს უყვართ ჩურჩხელაც და გოზინაყიც, თორემ მე ახლა არც ერთს აღარა ვჭამ. ახალი წლის ღამეს ჩემი დები სუფრის გაშლაში ეხმარებოდნენ დედას და ბებიას. დედა შვიდ სანთელს დაანთებდა, ამით ანგელოზებს გზას უნათებდა, რომ ჩვენს სახლშიც შემოსულიყვნენ. შვიდს იმიტომ ანთებდა, რომ ჩვენ შვიდნი ვცხოვრობდით და ჩვენი მფარავი ანგელოზები არ გაბრაზებულიყვნენ. ახალი წელი, რომ დადგებოდა დედა ყველას პატარა გოზინაყს ან შაქარ-ყინულს ჩაგვიბებდა და ასე გვეტყოდა: "შაქარივით ტკბილად დამიბერდითო". მამა აივანზე თოფს დააძახებდა და ქალაქში ისეთი გრუხუნი ისმოდა, რომ არ ვიცი რა. ამ დროს ყველაზე გარეთ იყო გადმომდგარი და მეზობლები*

ერთმანეთს გადავძახებდით: "გილოცავთ, გილოცავთ, ხვავის და ბარაქის მომტანი წელი იყოსო". შემდეგ იწყებოდა ქეიფი, მოდიოდა მეკვლე. ჩვენი მეკვლე თითქმის 10-15 წელი ვანია ძია იყო ხოლმე, მამაჩემის ბიძაშვილი. კარგი ფეხი ჰქონდა, მთელი სანათესაოს მეკვლე ეგ იყო ხოლმე თითქმის. პატარა სინით შემოჰქონდა ხოლმე ტკბილეული, ხილი, ნაზუქი. ხელში ფქვილი ან მარცვლეული ეჭირა და შემოჰყრიდა სახლში, ასე გამრავლდითო. ჩვენს სუფრასთან მივიწვევდით და ქეიფს ვიწყებდით. ახალ წელს მამა ბავშვებსაც გვაძლევდა უფლებას, რომ ცოტა ღვინო დაგველია და ახალი წლის შემობრძანება დაგველოცა. დედა წინასწარ ლექსებს გვასწავლიდა ხოლმე და სტუმრად სადმე რომ მივყავდით ვყვებოდით. 2 იანვარს ბედობას აღვნიშნავდით, ქათმის მეკვლეობასაც ვეძახდით. ყველა ვცდილობდით, რომ კარგად მოვქცეულიყავით და ეს დაგვბედებოდა. დედა წიგნს გამოგვიტანდა და ორ-ორი წინადადება მაინც უნდა წაგვეკითხა, რადგან სიზარმაცე არ დაგვბედებოდა. ჩემს შვილებსაც ასე ვუკეთებდი ხოლმე, დედასგან რაც ვიცოდი.

დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა. ჩემს ბავშვობაში მდიდრული საახალწლო სუფრა არასდროს გვქონია, მაგრამ მთელი სიხარულით აღვნიშნავდით, რაც გქვონდა. გოზინაყი და ტკბილეული მაინც გვქონდა ხოლმე და დედას და ბებიაჩემის გამომცხვარი სხვადასხვა ფორმის ნამცხვრები. მაშინ ამითაც ბედნივრები ვიყავით, სიყვარული და პატივისცემა ვიცოდით ერთმანეთის, ახლა კიდე ხალხი იმაში ეჯიბრება ერთმანეთს ვის უფრო დახვავებული სუფრა ექნებათ და ვალებს იდებენ ამის გამო. მთავარი ეგ არაა. ბებიაჩემი გვეტყოდა ხოლმე, მთავარია ღიმილით და კარგი განწყობით შეხვდეთ, რომ წელი ასე გაგრძელდესო. დღეს ისე აღარ აქცევენ ყურადღებას, ისევ და ისევ ეკონომიკური ფაქტორის გამო, თორემ ჩემს ბავშვობაში და ახალგაზრდობაშიც ორ ახალ წელს აღვნიშნავდით: პირველში და თოთხმეტ იანვარს. მთელი მოლხენა გვქონდა ხოლნე, ნათესავი არ დაგვრჩებოდა, რომ არ მივსულიყავით და არ მიგველოცა, ანალოგიურად ისინიც მოდიოდნენ ჩემთან. პირველში ძირითადად ჩემი ნათესავები ჩამოდიოდნენ ხოლმე ქალაქში (თბილისში), თოთხმეტში კი ჩვენ მივდიოდით" [გიორგი ს. ტ. 80 წ.].

ახალი წელს მთელ საქართველოში განსაკუთრებულად დღესასწაულობდნენ, რადგან ის ითვლებოდა წლის დასაწყისად, პირველ დღესასწაულად და მასზე იყო დამოკიდებული მთელი წლის ბედი.

§ 1.2. შობის დღესასწაული

მართლმადიდებლური სამყარო იესო ქრისტეს შობას 7 იანვარს ზეიმობს. ამ დღეს მორწმუნეებში განსაკუთრებული განწყობა იგრძნობა. თბილისში, ისევე როგორც ყველა სხვა სოფელსა თუ ქალაქში, შობის დღესასწაულის აღნიშვნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომელიც მთელი რიგი რიტუალებით იყო დატვირთული.

შობის დღესასწაულს ეკლესიებში, საშობაო ლიტურგიით ხვდებოდნენ. წირვის დასრულების შემდეგ, მგალობლები თითოული ჭიშკრის წინ ჩერდებოდნენ და ყველას ქრისტეშობას ულოცავდნენ. მათ თან დაჰქონდათ კალათები, რომლებსაც მოსახლეობა პროდუქტებით, ტკბილეულითა და სხვადასხვა ნივთებით ავსებდა. ალილოს მონაწილეთა მსვლელობა დიდხანს გრძელდებოდა, თუმცა მისი კულმინაცია შეგროვილი შესაწირის გაჭირვებული ოჯახებისთვის გადაცემა იყო. სწორედ ქველმოქმედება დაედო საფუძვლად ალილოს ტრადიციას.

"ალილო ქართული საგალობელია, რომელიც შობის წინა ღამეს სრულდება. სწორედ საგალობლის სახელწოდება დაედო საფუძვლად საქართველოში საუკუნეების წინ დამკვიდრებულ საშობაო ტრადიციას. ეს ტრადიცია საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა – შობა დღეს ხალხი კარდაკარ დადიოდა და შესაწირს აგროვებდა" [http://plus.kvira.ge/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93/].

შეგროვებულ შესაწირს გაანაწილებდნენ და უსახლკარო და გაჭირვებულ მოსახლეობას ურიგებდნენ. რიტუალში მონაწილეებს წინასწარ ჰქონდათ თადარიგი დაჭერილი თუ რა უნდა შეეწირათ ალილოსთვის და მას გამზადებულს ახვედრებდნენ. საქართველოში ალილოს ტრადიციებს საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, თითქმის 1990 წლამდე თბილისში ალილოს რიტუალი აღარ სრულდებოდა. ის საბჭოთა ხელისუფლების მიერ აკრძალულად იქნა გამოცხადებული, ისევე როგორც, სხვა რელიგიური დღესასწაულები თუ რიტუალები. მაგრამ XX საუკუნის ბოლოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ალილოს რიტუალი აღორძინდა. ამის შემდეგ, მან უფრო ფართო მასშტაბი მიიღო და დღეს ალილოს სარიტუალო მსვლელობაში მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილია ჩართული. ალილოს საზეიმო პროცესიას წინ სამღვდელოება მიუძღვის და შობის ხატს, საწინამძღვრო ჯვრებს და დროშებს მიაბრძანებს. მათ მგალობლები და მორწმუნეები მიჰყვებიან და გზადაგზა შესაწირს აგროვებენ. გალობით მიმავალ მრევლს გზადაგზა გამვლელებიც უერთდებიან. დიდი თუ პატარა საერთო სიხარულის მონაწილე ხდება. მსვლელობა სამების საკათედრო ტაძარში სრულდება, სადაც შეკრებილ მრევლს შობის დღესასწაულს კათოლიკოს-პატრიარქი ულოცავს და ლოცვას აღავლენს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეუერთდეს ალილოს საზეიმო მსვლელობას. ამ ყოველივეს საქველმოქმედო ხასიათი აქვს.

§ 1.3. ნათლისღება/ წყალკურთხევა

ძველი სტილით 6 იანვარს, ხოლო ახალი სტილით 19 იანვარს ქრისტიანული სამყარო წყალკურთხევის დღესასწაულს აღნიშნავს. ეს არის ღმერთის გამოცხადების, ნათლისცემის დღე. ნათლობა ქრისტიანული რელიგიის იმ შვიდ სავალდებულო და საიდუმლო რიტუალთაგანია, რომლის დაცვა და შესრულება ყველა მორწმუნე ქრისტიანს ევალება.

ძველ თბილისში წყალკურთხევა დღეს, ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ, მღვდელი ჯვრით ხელში ხალხს მდინარე მტკვრისაკენ მიუძღვოდა, სადაც საგანგებოდ მოწყობილი "იორდანე" - წყალთან მისასვლელი ხის ხიდი, ბაქანი იყო მოწყობილი. სადღესასწაულო სვლაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ამქრები თავიანთი დროშებით.

ლოცვა - კურთხევის შემდეგ მღვდელი მდინარეში ჩაუშვებდა, განბანდა ჯვარს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მდინარის წყალი წმინდა იყო და ხალხს სჯეროდა, რომ ვინც შიგ განიბანებოდა, ცოდვებისაგან განიწმინდებოდა. მიუხედავად, ზამთრის სიცივისა, წყალკურთხევის ადგილი "იორდანე" - ხალხით იყო ხოლმე სავსე. ბევრი შიშველი ჩადიოდა და მდინარეს გადასცურავდა, ზოგი ცხენით შედიოდა წყალში. ბევრი სუსლსწრაფი "ნაკურთხი" მდინარის წყალს იქვე სვამდა, რათა ცოდვებისაგან განწმენდილიყო.

იყო შემთხვევები, როცა სახელდახელოდ მოწყობილ ხის ბაქანს ხალხის სიმძიმისთვის ვერ გაუძლია და ჩამტყდარა, რასაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს.

წყალკურთხევას აუცილებელი იყო ნაკურთხი წყლის შინ წაღება. ოჯახში მიტანილ წყალს ოჯახის ყველა წევრი სვამდა, ასევე აპკურებდნენ კარ-მიდამოს, რწყავდნენ ეზოს და ა.შ. ნაკურთხი წყალი წლიდან წლამდე ოჯახში უნდა ყოფილიყო, ამიტომ მას იზოგავდნენ. წყლის ასე შენახვას ხალხი მის სასწაულმოქმედ თვისებას მიაწერდა, სინამდვილეში მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: წყლის საკურთხებლად გამოიყენებოდა ვერცხლის ჯვარი და წყალსაც ვერცხლის ჭურჭელში ინახავდნენ. ცნობილია, რომ ვერცხლს აქვს ბაქტეროციდული თვისება, ე.ი. ხელს უშლის წყლის აშმორებას და ბაქტერიების გაჩენას (თ. ბერიძე 1980).

თავი II. გაზაფხულის ციკლის დღესასწაულები

გაზაფხულის დადგომა განსაკუთრებით აღინიშნებოდა თბილისში, რადგან ბუნების გაღვიძებას ეძღვნებოდა. ეს იყო სიმბოლური გამოხატულება სიცოცხლის და სიკვდილის ურთიერთჭიდილისა. საეკლესიო თუ საერო დღესასწაულების უმრავლესობაც სწორედ გაზაფხულს ემთხვეოდა.

გაზაფხულს ემთხვევა ყველიერის კვირეულიც, რომელიც მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენს სააღდგომო მარხვის დაწყებამდე. მართლმადიდებლური ეკლესია ყველიერის კვირაში კრძალავს ხორცის პროდუქტების მიღებას და მორწმუნენი მხოლოდ რძის პროდუქტებით იკვებებიან. ყველიერის კვირის დასაწყისს, ორშაბათ დღეს, ყველა ოჯახში ცხვება ქადები და ნაზუქები. XIX საუკუნეში, რუსების გავლენით, ქართველებმა დაიწყეს საყველიერო „ბლინების“ გამოცხობა.

ყველიერის კვირას თბილისში ყველა ოჯახში აღნიშნავდნენ. საღამოს თითოეული სახლიდან სიმღერის და ცეკვა-თამაშის ხმა გამოდიოდა. ისმოდა დაირის და გუდასტვირის მუსიკაც. ამ დროს გოგონები სადღესასწაულოდ იყვნენ გამოწყობილნი, რომლებიც ხეზე, ან ბანიანი სახლის ქვეშ სახელდახელოდ ჩამობმულ საქანელაზე შემომსხდარნი მღეროდნენ: „ყველიერში ყველი ვჭამე, აღდგომას კი კვერცხები...“ საღამოს ყველა ეზოში ქეიფი იმართებოდა (თ. ბერიძე 1980).

§2.1. ბერიკაობა-ყეენობა თბილისში

ბერიკაობა-ყეენობა საგაზაფხულო ციკლის დღესასწაულს წარმოადგენდა, რომელიც თბილისელთა ერთ-ერთ საყვარელ გასართობ სანახაობად ითვლებოდა. ბერიკაობა-ყეენობას აღნიშვნის ფართო მასშტაბიდან გამომდინარე დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა. ის, არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეშიც მეტად პოპულარული იყო. იოსებ გრიშაშვილის შეფასებით ყეენობა იყო გრანდიოზული საერო ხასიათის დღესასწაული. იგი თბილისურ ყეენობას ადარებს ევროპულ კარნავალს და ნაწილობრივად - მასკარადს (ი. გრიშაშვილი 1986). ქართველი ეთნოლოგი ჯულიეტა რუხაძე კი დღესასწაულის ზოგადი

შინაარსის შესახებ აღნიშნავს, რომ *„ბერიკაობა-ყეენობა დამპყრობლებთან ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის გამომხატველია და ისტორიული ვითარების შესატყვის სურათებს ასახავს“*[ჯ.რუხაძე 1999:67].

ისტორიული და ეთნოგრაფიული წყაროებით დასტურდება, რომ ბერიკაობა-ყეენობა მრავალდღიანი ხალხური დღესასწაული იყო, რომელიც ყველიერის კვირაში იწყებოდა და დიდმარხვის ორშაბათს მთავრდებოდა. ამ ორშაბათს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: შავი ორშაბათი, დიდი ორშაბათი, დიდმარხვის ორშაბათი, წმინდა ორშაბათი, კუმეტი და ა.შ.. აღნიშნულთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ გვაუწყებს: *„საკვირველი დღეა ეს პირველი დღე დიდ-მარხვისა. ამ დღეს შავ ორშაბათსაც ეძახიან, ყეენობასაც და ნამცეცობასაც. პირველი ორი სახელწოდება საისტორიოა და ამიტომ პატივ-საცემია, მესამე კი ღორ-მუცელების და გემოთ მოყვარეთა მოგონილია. ამ ცოდვიანებს ძალიან მიუჩვევიათ ხორცი სილაღეს და ამ დღესაც არ უპირობენ სულს სამსახურს. ერთი მამაპაპურად ჩაითვრებიან და ერისა და ბერის წინაშეც ისა აქვთ გასამართლებელ საბუთად, რომ ნამცეცობაა“*[ივერია 1888 №49].

XIX - XX საუკუნეების პრესასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი ცნობა გვხდება ბერიკაობა-ყეენობის აღნიშვნის შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი დღესასწაულის მსვლელობის თითოეული დეტალი, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ჯულიეტა რუხაძე საკვლევ ველზე მოპოვებული მასალისა და იმდროინდელ პრესაში არსებული წყაროების გაანალიზების საფუძველზე ასე აღწერს ბერიკაობას: ბუკისა და ნაღარის ხმა ხალხს ბერიკაობის დაწყებას ამცნობდა. სანახაობის მთავარი მონაწილეები იყვნენ: ბერიკა, დედოფალი, ბერიკები, მღვდელი, თათარი, ლეკი, არაბი, მეალმეები, რომლებიც სხვადასხვა საკრავზე უკრავდნენ, ასევე მონაწილეთა უმრავლესობა ცხოველების - ცხვრის, თხის, კურდღლის, ღორის, დათვის და მგლის ნიღბებით იყვნენ შემოსილი. ბერიკაობის ზოგიერთი მონაწილე ნიღაბს არ იყენებდა და სახეს მურით იღებავდა. აღსანიშნავია, რომ ბერიკას ყოველთვის ახალგაზრდა ყოჩაღი ვაჟი განასახიერებდა, რომელსაც ცხვრის ტყავის ქურქი ეცვა ან თხის ტყავი ჰქონდა წამოსხმული. დედოფლის/ პატარძლის როლსაც მხიარული, უწვერულვაშო ვაჟი

ასრულებდა, რომელსაც თმა ჰქონდა მიბმული, გრძელი კაბით და ჭრელი თავსაფრით იყო შემოსილი (ჯ. რუხაძე 1999:67-68).

ყველიერისათვის ქალაქშიც და სოფელშიც ერთნაირად ემზადებოდნენ, აცხობდნენ ქადებს და ნაზუქებს, ხარშავდნენ კორკოტს[1]. ბერიკა და მისი ამალა ფეხით ან ვირით გადაადგილდებოდნენ. ბერიკა ვირზე უკუღმა იჯდა და ხელში ცხოველის კუდი ეჭირა. მის გვერდით დედოფალი, კეკელა მოდიოდა, რომელსაც ხის ხმლებით შეიარაღებული ამალა მოსდევდა. აღნიშნული ხის ხმლებით, ბრძოლის იმიტაციას ასრულებდნენ. ბერიკაობის მონაწილეებს მასპინძელი უხვად უმასპინძლდებოდა. ამგვარ სანახაობას მოსდევდა ბერიკას და დედოფლის ქორწინების ინსცენირება. მანამდე კი სხვა მონაწილენი ცდილობდნენ დედოფალს მოალერსებოდნენ, გაბრაზებული ბერიკა კი ყველას ხმლით იგერიებდა. საინტერესოა ბერიკასა და დედოფლის ჯვრისწერის სცენა, სადაც უკვე ნათლია და მღვდელიც აქტიურად ჩანან. ისინი ნეფე - დედოფალს დალოცავდნენ, რასაც დიდი მხიარულება, სიმღერა, ცეკვა - თამაში მოსდევდა. ჯულიეტა რუხაძის თქმით, ბერიკაობის დროს საქანელაზე ქანაობა და ბუქნაობა სავალდებულო იყო, რათა ბედნიერი და ბარაქიანი წელი ყოფილიყო და გამრავლებულიყვნენ.

ბერიკაობის დასასრულს ბერიკას „სიკვდილის“ რიტუალი სრულდებოდა. ბერიკას დასტიროდა დედოფალი. სანახაობის ყველა მონაწილე კი ეროტიულ სურვილებს ავლენდა კეკელას მიმართ, რომლებიც მის დამშვიდებასა და გამხიარულებას ცდილობდნენ. ბერიკაობის დასასრულს ჭიდაობა იმართებოდა, რომლის დროს თითოეული მოჭიდავის წინ ვაჟი იდგა ალმით[2] ხელში. ჭიდაობასა თუ ხელკეტებით გამართულ ჩხუბში გამარჯვებულები ალამს მოიტაცებდნენ და გამარჯვების ნიშნად შეგროვებული სურსათის ნაწილსაც წაიღებნდნენ.

საინტერესო ფენომენია ბერიკაობისათვის სურსათ-სანოვაგის შეგროვება, რომლისთვისაც არა მარტო თბილისის სხვადასხვა უბნის ბერიკები და მათი ამალა, არამედ ახლო სოფლებიდან ჩამოსულებიც მონაწილეობდნენ. *„ეს წესი XX საუკუნის 40-იან წლებშიც გრძელდებოდა. ამ დროს თბილისის ხშირი სტუმრები იყვნენ: კუმისის,*

[1] ხორბლის ფაფა.

[2] სარზე გაკეთებული სხვადასხვა ფერის ქსოვილი, რომელსაც დროშის ფუნქცია ჰქონდა.

შინდისის, ტაბახმელას, კოჯრის, თელეთის ბერიკები“ [ჯ. რუხაძე 1980:70]. აღნიშნული ფაქტი გვარწმუნებს, რომ ბერიკაობა, დედაქალაქის გარდა, მის საგარეუბნო სოფლებშიც აქტიურად იმართებოდა.

ბერიკაობის ეპიზოდურ გაგრძელებას წარმოადგენს ყეენობა, რომელშიც რთულია რაიმე რადიკალურად განსხვავებული სანახაობის დანახვა. „*ახალი შინაარსით შევსებული ორშაბათ დღეს ხალხმა ყეენობა დაარქვა, თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და სხვადასხვა დროის ბრძოლის ამსახველ დღესასწაულად გადააქცია“* [ჯ. რუხაძე 1999:71]. ყეენობა, დიდმარხვის ორშაბათს, „შავ ორშაბათს" იმართებოდა.[3]

ბერიკაობის მსგავსად, ყეენობაც თბილისის ყველა უბანში იმართებოდა. 1893 წელს გამოქვეყნებული ჟურნალი „კვალი“ ასე აღწერს ყეენობის დღესასწაულს: „*დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეები. მთელი ტფილისის ქალაქი: ავლაბარი, ნარიყალი და ჩუღურეთი ყეენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფვეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული, ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს, საცერე რვოლებს და შურდულებს. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად: ერთი იყო ისანი და მეორე - ნარიყალი. ნარიყალს ემხრობოდნენ ვერის მხრის მცხოვრებნი. ახალი სოლოლაკის უბანიც ამათკენ იყო. ისნის მხარეს შეადგენდა ავლაბარი, ჩუღურეთი და გარეთუბანი, ანუ კუკიის მხარე... ყეენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და შემოსეოდა ქალაქს, დაეპყრა დილით მთელი ქალაქი და გზების ჯვარედინზედ ჩაეყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამვლელ - გამომვლელთათვის ხარჯი გამოერთმიათ. თვით ყეენი შავად შემურული თავის მეუღლით უნდა წამოსულიყო და დაედგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურ ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია.*

ამ დროს ნარიყალის მომხრენი საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს, რომელნიც ჩასაფრებულნი უნდა ყოფილიყვნენ სოლოლაკის ხევში. დადგა დიდი ორშაბათი, პირველი დღე დიდ-მარხვისა. ტფილისის ქალაქის დუქნები დაიკეტა და მცხოვრებნი ნახევარი ყეენისკენ იყვნენ, ნახევარი კი სოლოლაკის ხევში დაიმალა. ყეენმა

[3] ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ შავი ორშაბათის შესახებ.

დაიდგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზედ. მისი მოხელენი იჭერდნენ გამვლელ-გამომვლელს და მიჰყავდათ ყეენთან თაყვანის საცემლად. ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, ერი განუდგა მას და ქართველების ჯარი სოლოლაკის მაღლობზე გადმოდგაო. მაშინვე ყეენი გაემზადა საომრად. თვითონ იგი და თავისი მეუღლე შესხდნენ სახედრებზედ და შეუტიეს განდგომილებს. ზოგი მუშტით იბრძოდა, ზოგი ხის ხმლებით. ბევრს ცხვირი გაუტყდა, ბევრს თავი, ბოლოს მაინც ნარიყალელებმა დაიფრინეს ყეენის გუნდი... თვითონ ყეენი თავის მეუღლით ჩავარდა საქართველოს ჯარის ხელში. ქართველებმა შესვეს ყეენი და მისი მეუღლე პირუკუღმა სახედრებზე, ჩაიყვანეს მტკვრის პირად და იქ ორივენი: ყეენი და მისი მეუღლე - ჩააგდეს მტკვარში. ასე გათავდა ყეენობა" [„კვალი", 1893, №6].

იოსებ გრიშაშვილი „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემა"-ში აღნიშნავს, რომ თბილისის ყველა უბანს თავისი ყეენი ჰყავდა, რომელიც ოხუნჯობითა და გონებამახვილობით გამოირჩეოდა. ყეენს თავზე ქაღალდისაგან გაკეთებული წოწოლა ქუდი ეხურა, ყელზე მძივები ეკიდა, ტანთ გადმობრუნებული ტყაპუჭი ეცვა, რომელზედაც მოჭერილი ჰქონდა თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი, სახეზე მური ესვა, ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში - ჟანგიანი შამფური, რომელზეც ვაშლი ან ხახვი იყო წამოცმული. *„ამგვარად მორთული ყეენი იჯდა აქლემზე და თან „ბერიკულად" გადაცმული ხალხი - ყეენის ამქარი - ზურნის დაკვრით და ხმაურით მისდევდა. პროცესია მიდიოდა ქუჩებში რამდენიმე ხელჯოხიანის წინამძღოლობით; ხოლო, რომელსაც დიდი ყავარჯენი ეჭირა, ის ამ ხელჯოხიანების უფროსი იყო (ეტიკი). ყეენის ამალა გამვლელ-გამომვლელებს გზას უღობავდა და ყეენის სასარგებლოდ ხარკს ახდევინებდა: რომელიმე ხელჯოხიანი წინ გადაუდგებოდა ქუჩაში გამვლელ კაცს, კომბალს წინ დაურჭობდა, ზანზალაკებს დაუჟღარუნებდა და „ყეენის სალამს" მიართმევდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ფული გადაიხადეო. როცა ხაზინადარი ფულს ქისაში ჩააგდებდა, ხმამაღლა დაიძახებდა: „ააშე-ნოს!" ყეენი კი რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა აღნიშნავდა შემოსული ფულის რაოდენობას. ეს წინამძღოლი დუქნებშიაც შედიოდა და ყველა მოვაჭრე ვალდებული იყო გადაეხადა მასზე გაწერილი თანხა"* [ი. გრიშაშვილი 1986:21-22].

ბერიკაობა-ყეენობას ერთნაირი დასასრული ჰქონდა. აქაც, ბერიკაობის მსგავსად, ყეენს პირდაპირ მტკვარში გადაისვრიდნენ. იოსებ გრიშაშვილი ქართული ბერიკაობა - ყეენობის დროს შესრულებულ წყალში ჩაგდების ეპიზოდს ადარებს ათინაში, ფარგელეის დღესასწაულის ეპიზოდს. კერძოდ კი, აღნიშნული დღესასწაულის დროს ამოირჩევდნენ ორ დამნაშავეს - მამაკაცს და ქალს. დამნაშავეს ჯერ დაატარებდნენ ქალაქის ქუჩებში, შემდეგ კი მიიყვანდნენ ზღვის ნაპირთან, თავს მოკვეთავდნენ და ნეშტს წყალში გადაისვრიდნენ. მოგვიანებით ამ ჩვეულებამ მხოლოდ სანახაობითი ხასიათი მიიღო, ადამიანს ჩააგდებდნენ ზღვაში, რომელსაც იქვე მყოფი ხალხი იჭერდა და ამოჰყავდათ წყლიდან.

საინტერესოა, როდის და რა ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. გიორგი წერეთლის აზრით, ყეენობა საქართვრელოში მურვან ყრუს შემოსევების შემდეგ დამკვიდრდა. *„ბევრნი ამტკიცებენ, ვითომც ეს თამაშობა ქართველებს მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოეღოთ, როცა გიორგი სააკაძემ და თეიმურაზ მეფემ გასწყვიტეს სპარსეთის ჯარი და გაანთავისუფლეს თავიანთი ქვეყანა შაჰ-აბაზის მტარვალობისგან. მაგრამ ეს არავითარი ისტორიული საბუთით არ მტკიცდება. უფრო დასაჯერია, რომ ეს ყეენობა გადაკეთებული იყოს ძველებურის სამხედრო ვარჯიშობის თამაშობიდან პირველ მახმადიანთა და მხედართ-მთავრის მურვან-ყრუს შემოსევის დროს, მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მართლაც უფრო საგულისხმოა ამისთანა აზრი, რადგან მურვან ყრუ შემოვარდა საქართველოში“* [„კვალი“, 1893, №6].

ამრიგად, ბერიკაობა-ყეენობის სანახაობაში კარგადაა ასახული ქართველი ხალხის ისტორიული წარსული. ქართველები არასდროს ეპუებოდნენ მტრის ბატონობას საკუთარ მიწა-წყალზე და ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. ვიზიარებთ იოსებ გრიშაშვილის მოსაზრებას, რომ, ყეენობა პირვანდელი სახით ომის იმიტირებას წარმოადგენდა, რომლითაც ხალხი ალეგორიულად გამოხატავდა თავის წარსულს, გულის ზრახვებს და ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი სანახაობა იყო *„პატრიოტული პროპაგანდის ერთ-ერთი ფორმა. ყეენი აქ შეიძლება იმდროინდელი მთავრობის კარიკატურულ გამოხატულებადაც გადაქცეულიყო. მთავრობის აჯანყების*

გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაკიმასხრული ყეენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა, და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აკრძალა. ამის შემდეგ ყეენობას უბრალო პროცესებისა და ცეკვა-თამაშის ხასიათი მიეცა“ [ი. გრიშაშვილი 1986:21].

გარდა ამისა, ბერიკაობა-ყეენობა აგრარული ხასიათის დღესასწაულიც იყო. ამ სანახაობის მთავარ მიზანს ბუნების აღორძინება, ნაყოფიერება და უხვ მოსავლიანობა წარმოადგენდა. ამგვარი შინაარსის დღესასწაულები მსოფლიოს არა ერთი ხალხის ყოფაში გვხდება, მათ შორის ძველ აღმოსავლეთსა და ელინურ სამყაროში. შემთხვევითი არ არის ბერიკაობა-ყეენობის დღესასწაულისას ქორწინების სცენა, სიკვდილი, დატირება და გაცოცხლება, რაც მოკვდავ-აღდგენადი ღვთაების ბუნებას განასახიერებს. ნაყოფირების გამომსახველი პერსონაჟის გაცოცხლების შემდეგ ის გარე სამყაროს გადასცემს განაყოფიერების ძალას. რაც შეეხება ყეენის წყალში დასველებას, როგორც ცნობილია, *ის „წვიმის გამომწვევ და განაყოფიერების მაგიურ აქტად არის მიჩნეული. ივ. ჯავახიშვილს ლაზარობის დღესასწაულის მთავარი პირის წყალში ჩაგდება ან მისი დასველება წარმართობის დროინდელ ღრუბელთა ბატონისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ მოქმედებად მიაჩნია“* [ჯ. რუხაძე 1980:35-36].

დღეს თბილისში ბერიკაობა-ყეენობის რიტუალი აღარ აღინიშნება.

§2.2. გვირილების დღე და შვიდმაისობა

ძველი თბილისელები აპრილის დადგომისთანავე ქალაქგარეთ - მინდორში ან რომელიმე ბაღში გადიოდნენ მოსალხენად, ხის ჩრდილში ლურჯ სუფრას მიუსხდებოდნენ. ნოხებზე მოფენილი იყო აყვავებული ნუშის ტოტები. იწყებოდა ქეიფი და ცეკვა-თამაში. სასმისები: ჯიხვის რქა, ჭინჭილა, კულა, თიხის ჯამი თუ ფიალა ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველა მხრიდან ისმოდა სიცოცხლისა და სიყვარულის სადღეგრძელოები. სიმღერებითა და მხიარული საშაირო ტექსტებით ერთმანეთს გაზაფხულის შემობრძანებას ულოცავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის გავლენით, თბილისელებმა დაიწყეს „გვირილების დღის“ აღნიშვნა. რუსებს ეს დღესასწაული ევროპიდან ჰქონდათ გადმოღებული, რაც ერთგვარად ყვავილების ზეიმს წარმოადგენდა. „გვირილების დღე“ აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში იმართებოდა. ამ დღეს ყველას, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, მკერდზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული. ქალაქი ყვავილებით იყო მორთული და ყველა კუთხეში უამრავი ყვავილი იყიდებოდ, ძირითადად გვირილების გამყიდველები ფულს ყუთებში აგროვებდნენ ქველმოქმედებისათვის და ამ თანხით უპატრონო ადამიანებს და ჭლექით დაავადებულებს ეხმარებოდნენ. როგორც ცნობილია, გვირილა ჭლექით დაავადებულთა სიმბოლოა.

თბილისელებში, განსაკუთრებით ადგილობრივ გოგონებს შორის, პოპულარული იყო ამინდის გამომწვევი რიტუალი, რომელსაც „შვიდმაისობა“ ერქვა. ამ დღით გოგონები იკრიბებოდნენ ეზოებში ან სახლების სახურავებზე, სადაც მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ და თან ცას შესცქეროდნენ. მათი რწმენით, 7 მაისს, ამ სანახაობის დროს აუცილებლად უნდა მოსულიყო წვიმა. ამიტომ წვიმის დაწყებამდე გაიშლიდნენ თმას, ცალ ფეხზე შემხტარნი მხიარულად შესძახებდნენ ცას: „შვიდი მაისის წვიმავ“. ამ წვიმას მიეწერებოდა არაჩვეულებრივი თვისებები - ის დადებით გავლენას ახდენდა გოგონების თმის ზრდაზე (რ. თოფჩიშვილი 2017). როგორც აღვნიშნეთ, „შვიდმაისობა“ გაზაფხულის ბოლო თვეს, მაისში, აღინიშნებოდა და ის იყო ერთგვარი წვიმის გამომწვევი რიტუალი, რათა თავიდან აეცილებინათ გვალვიანი ზაფხული და გაუსაძლისი სიცხე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამინდის მართვის/გამოწვევის რიტუალები აგრარულ დღესასწაულთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

§2.3. ჭიაკოკონობა და ჭონეობა

ქრისტიანული ეკლესია ბზობიდან აღდგომის დღესასწაულამდე პერიოდს, ე.ი. აღდგომის მარხვის ბოლო კვირას, ვნების შვიდეულს ან ვნების კვირას უწოდებს. ეს კვირა იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ვნების

შვიდეულში განსაკუთრებული წეს-ჩვეულებებით გამოირჩევა დიდი ორშაბათი, დიდი ხუთშაბათი და წითელი პარასკევი. ხალხი ამ კვირას დიდი მოწიწებით იცავდნენ და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. ქრისტიანული დოგმით განსაზღვრული დღესასწაულებისა თუ რიტუალების ნაწილი, ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში, გახალხურებული სახითაა წარმოდგენილი. ვნების კვირაში საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ასრულებდნენ ჭიაკოკონობისა და ჭონეობის რიტუალს.

ქართველთა წინარექრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებში დიდი ადგილი უკავია რწმენას ავი, უხილავი სულების არსებობის შესახებ. ხალხს სჯეროდა, რომ ავი სულები იმის ცდაში იყვნენ თუ რა ევნოთ მათთვის, რა უბედურება დაეტეხათ თავს. ამიტომ ადამიანები სხვადასხვა ხერხსა და რიტუალს მიმართავდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი განსაცდელი. ავ სულებს ყველაზე უფრო მეტად ცეცხლი აფრთხობდა. ბოროტი სულებისგან დახსნისა და ცოდვების განწმენდის მიზნით სრულდებოდა ჭიაკოკონობის რიტუალი, რომელიც თბილისში მცხოვრებთათვისაც არ ყოფილა უცხო.

ვნების კვირას, ოთხშაბათ დღეს, თბილისში, შებინდებისას, ეზოებსა და ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად კოცონს ანთებდნენ, რასაც თოფის სროლა და ხმამაღალი შეძახილი ახლდა. კოცონის გარშემო ხალხი იკრიბებოდა, რომლებიც რიგ-რიგობით ცეცხლს ახტებოდბენ. ჭიაკოკონაზე, სულ მცირე, სამჯერ მაინც უნდა გადამხტარიყვნენ და თან ამბობდნენ: “არი-ურული-ურული კუდიანებსა”. ცეცხლს ცოდვებისაგან განწმენდა და ავი სულებისაგან დაცვა მიეწერებოდა. ჭიაკოკონობის რიტუალის შესრულებისას, კუდიანებისაგან ოჯახის დასაცავად კარ-ფანჯრებსა და საკვამლე მილებს ასკილის ტოტებით ამოქოლავდნენ ხოლმე (თ. ბერიძე 1980).

მართალია, დღეს თბილისში ჭიაკოკონობის რიტუალი აღარ სრულდება, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებას შემორჩა მისი შესრულების ჩვეულებანი. საველე კვლევისა და ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენების შედეგად დავაფიქსირეთ ჭიაკოკონობასთან დაკავშირებული დეტალები. მთხრობელის თქმით: „*დღეს თბილისელმა ახალგზარდებმა არც კი იციან რა არის ჭიაკოკონობა, ბევრ მათგანს არც კი გაუგია. ვისაც სადმე სოფელი აქვს იმათ უფრო იციან, რადგან ზოგიერთ სოფელში კვლავ*

შემორჩენილია ასეთი ჩვეულებანი. მე იტალიურ ეზოში დავიბადე და გავიზარდე, ავლაბარში ვცხოვრობდი. მეზობელ კარში სომხები ცხოვრობდნენ და ძალიან კარგი ურთიერთობა გქვონდა. ჩვენ მერე ის სახლი გავყიდეთ, მაგრამ დიდი ხანი მაინც ვინარჩუნებდით ურთიერთობას. ჭიაკოკონობისთვისაც ერთად ვემზადებოდით, ისინიც აქტიურობდნენ ცეცხლის დანთებაში. სამეზობლოში შევავროვებდით ძველმანებს: ქაღალდის ყუთებს, ფურცლებს, ფიჩხებს, ძველ კარ-ფანჯარას, ოჯახისათვის გამოუსადეგარ ნივთებს, ნაგავს და ერთად ვწვავდით ჭიაკოკონობის კოცონზე. ამ ყველაფერს აღდგომის მოსვლამდე, ოთხშაბათს და ხან ხუთშაბათსაც ვაკეთებდით. ჭიაკოკონას, რომ დავანთებდით მეზობელი ეზოები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ვისი ცეცხლის ალი უფრო მაღლა ავიდოდა. გვეგონა, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა ცეცხლი, მით უფრო, იქნებოდა ჩვენი სახლ-კარი დაცული. ჭიაკოკონას აუცილებლად უნდა გადავხტომოდით და თან ვამბობდით: „ალია კუდა, ჩემს სახლში არ შეძვრე! ალია კუდავ, ჩემს კარში არ შეძვრე!“ და სამჯერ გადავხტებოდით. ბავშვები კარგად ვერთობოდით, ჭივილ-ხივილი გვქონდა, წლიდან წლამდე ველოდებოდით ამ დღესა. ეხლა რომ ვფიქრობ, ეს იყო ჩვეულებრივი რიტუალი, რომელსაც გაუაზრებლად ვაკეთებდით, თორემ ადრე ცეცხლს რომ სცემდნენ თაყვანსა ეგენი კი არ ვიყავით (იცინის). მაშინ გართობებიც არ იყო ბევრი, ეზოში თამაშით ვერთობოდით ხოლმე, ახლა რომ სულ „ინტერნატთან“ [4] სხედან მთელი დღე, მაშინ არც არსებობდა. ჭიაკოკონა ხომ გაზაფხულით მოდიოდა და ჩვენც ზამთრის შემდეგ ვიწყებდით კარ-მიდამოს ძირ-ფესვიან „უბორკას“, გაზაფხულის დღეობებისთვის ვემზადებოდით და იმ ნაგავს მთელი მეზობლები ერთად ვწვავდით და ამ ყველაფერს რაღაც ზეციურს და მაგიურს ვუწოდებდით. ჭიაკოკონა ჩემს ახალგაზრდობაშივე „გადავარდა“ ჩვენი ცხოვრებიდან, დაახლოებით 60-იან წლებში აღარავინ ანთებდა“ [ანიკო გ. მ. 87 წ.].

მთხრობელის ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისშიც აქტიურად ასრულებდნენ ჭიაკოკონობის რიტუალს, რომელიც სოციუმთან ურთიერთობის ერთ-

[4] ივულისხმება ინტერნეტი.

ერთი ფორმა იყო. ცეცხლი არ წარმოადგენდა თაყვანისცემის რაიმე ობიექტს, მას მხოლოდ ავი სულებისაგან დაცვის დანიშნულება ჰქონდა.

თბილისში, როგორც ცნობილია, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან ხშირი იყო მიგრაციული პროცესები. ჩვენი მთხრობელის წინაპრები დაახლოებით XX საუკუნის 30-იან წლებში კახეთიდან, სიღნაღის რაიონ სოფელ ბოდბედან გადმოსახლებულან. ჭიაკოკონობის რიტუალის შესრულების ტრადიცია თბილისის სხვა მოსახლეობასთან ერთად აქაც გაუგრძელებიათ. ჩვენი მთხრობელი შემდეგს გვიყვება: *„ისანში ვცხოვრობდით ჩემს მშობლებთან ერთად. კერძო სახლი გვქონდა. ნაწილი სახლისა მამაჩემის ძმის იყო, ნაწილი ჩვენი. ეზოში ვიკრიბებოდით ხოლმე ბიძაშვილები და ჩემი და-ძმა. ხუთი და-ძმა ვიყავით. მახსოვს, როგორ ვემზადებოდით ჩვენი დიდი ოჯახი და მეზობლები ჭიაკოკონასთვის. ეს დიდი მხიარულება იყო და მთელი ოვაციებით ველოდით ხოლმე ამ დღეს. ეხლა ბავშვებს ერთი ტონა სათამაშოები, რომ აქვთ და ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგიძლია იყიდო, მაშინ ასე არ იყო და ასეთი დღეები გამონათება იყო ხოლმე ჩვენთვის. ჭიაკოკონობისათვის რამდენიმე დღით წინ ვიწყებდით მზაობას. ეზოში ან სახლში რაც კი რამ ძველი შეგვხვდებოდა ეზოს ერთ მხარეს ვალაგებდით ჭიაკოკონაზე დასაწვავად. ზოგჯერ მანქანის ძველი საბურავებიც შეგვიგროვებია უბანში და ის დაგვიწვავს. ჭიაკოკონას აღდგომის მოსვლამდე, იმ კვირის ოთხშაბათს ვანთებდით ჩვენ და ჩვენი მეზობლები. ჯერ ყველა ცეცხლის გარშემო დავდგებოდით „კრუგზე“, რამდენიმე წრიულ მოძრაობას ვასრულებდით და მერე სამჯერ ვახტებოდით. დედა იტყოდა ხოლმე: კუდიანები და ბოროტი სულები გავდევნოთ ჩვენი ოჯახიდანო. ჩემი მშობლები წარმოშობით კახეთიდან იყვნენ და გვიყვებოდნენ ხოლმე თავიანთ პატარობაში როგორ სდევნიდნენ ჭიაკოკონობის საღამოს კუდიან ალ-ქაჯებს სახლებიდან. თურმე ჩემს სოფელში, ბოდბეში, მთელი უბანი ერთად იკრიბებოდა, მოაგროვებდნენ შეშას, თივას, ფიჩხ-ფუჩხებს, გამხმარი ხის ტოტებს და დიდ ჭიაკოკონას ანთებდნენ. ყოფილა მთელი მხიარულება, ცეკვა-თამაში, ლაზღანდარობა, სიცილ-კისკისი. მერე თბილისში, რომ გადმოსულან ჩემები საცხოვრებლად, დაახლოებით XX საუკუნის 30-40-იან წლებში აქაც გაუგრძელებიათ ჭიაკოკონობა. ჩვენ მეზობლებსაც სცოდნიათ ჭაიკოკონობა. დედაჩემმა*

იცოდა ხოლმე ესეთი რაღაც, სანამ ბავშვები ჭიაკოკონაზე ვხტებოდით და ვყვირობით „არული კუდიანებსა“, დედა აიღებდა ცოცხს, დაიწყებდა ყველა კუთხის ჩამოგვას და თან ამბობდა: „გამოდით ჩემი სახლიდან კუდიანებო! გამოდით ქაჯებო, მოშორდით ალებო!“ ბავშვები ამ დროს ცოტა შევშინდებოდით ალისა და ქაჯების გაგებაზე, ჭინკებსაც ახსენებდნენ ხოლმე, ასე გვეგონა მოსიარულეები და ხილულები იყვნენ და უნდა დაგვენახა. მერე მამა გვეტყოდა - ნუ გეშინიათ, ისინი უკვე წავიდნენ ჩვენი სახლიდანო. მერე სახლის შესასვლელ კართან ეკლის მოზრდილ კონას გავუკეთებდით, რომ ბოროტი თვალისგან დაცულნი ვყოფილიყავით და ამ ეკლის კონას ჭიაკოკონობას ვწვავდით ხოლმე წინა წლისას და ახალს ვურჭობდით კარში“[ლალი რ. ტ. 72 წ.].

მთხრობელმა საუბრისას ყურადღება გაამახვილა ავი სულების შესახებ. კონკრეტულად დაასახელა მაჯლაჯუნები, ალები და ქაჯები. ივანე ჯავახიშვილს რწმენა ავი სულების არსებობის შესახებ საქართველოს არა ერთ ეთნოგრაფიულ მხარეში აქვს დაფიქსირებული. მისი დახასიათებით კახეთში ქაჯი მამრობითი სქესის არსებად წარმოუდგენიათ, ხოლო ქართლსა და კახეთში ალი მდედრობითად, რომელსაც ლამაზი გრძელი თმა აქვს და კაცებს განსაკუთრებული სილამაზით ხიბლავს. ხალხის რწმენით, ალი ზოგჯერ წყალშიც ცხოვრობს და მას „წყლის ალი“ჰქვია. დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში, სჯეროდათ ჭინკისა და ქაჯის არსებობის. მათი წარმოდგენით, ჭინკა ტანდაბალი და ბალნიან-კლანჭებიანი იყო, ხოლო ქაჯი დიდი ტანისა და ღონიერი, ჭინკას მსგავსად ბალნითა და კლანჭებით დაფარული. მის ბალანს ღამე ლაპლაპი გააქვს და ანათებს, კლანჭებით მკერდსაც გაჭრისო. ჭინკები და ქაჯები ტყეში ცხოვრობენ. ავი სულების რიგს „კუდიანებიც“ მიეკუთვნებიან, რომლებიც ღამე დადიან და ადამიანთა სულებს ღუპავენ. (ივ. ჯავახიშვილი 1979). ალების და ქაჯების არსებობის აფხაზებსაც სწამდათ, განსაკუთრებით წყლის ალ-ქაჯების, რომელთაც „წყლის დედას“, „აძითოუ“-ს ანუ წყლის მფლობელს, წყლის ქაჯს უწოდებენ. (პ. გიორგიძე 1888).

თბილისის ეთნოგრაფიულ ყოფაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჭონას შესრულების რიტუალი, რომელიც ასევე ვნების კვირას ტარდებოდა. გაზაფხულზე, დიდმარხვის უკანასკნელ დღეს, სრულდება სიმღერა „ჭონა“, რომელიც მოგვიანებით აღდგომის დღესასწაულს დაჰკავშირებია და რიტუალური ნიღბებით მეჭონეები ეზო-ეზო

დადიან და აგროვებენ სურსათ-სანოვაგეს, რომელშიც აუცილებლად უნდა ერიოს სააღდგომოდ შეღებილი კვერცხი (თ. ქურდოვანიძე 2010).

თბილისში ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად, ნახევრად სტრუქტურებული ინტერვიურების მეთოდის გამოყენებით ჩავიწერეთ შემდეგი მასალა: *„ჭონა თბილისში საერთოდ აღარ სრულდება. ჩემს ყმაწვილ კაცობაში მახსოვს ჭონაზე დავდიოდით ხოლმე ორთაჭალაში, ჩვენივე უბანში. რამდენიმე ვაჟი შევიკრიბებოდით, დედა კალათას ლამაზად მოგვირთავდა და მივდიოდით ჭონაზე. გაბედულად მაინც ვერ ვაკეთებდით, ასეთი რაღაცეები აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში და ჩუმად ვაკეთებდით. სულ რამდენიმე შემთხვევა მახსოვს. სოფლებში უფრო შემორჩა ჭონეობაზე სიარული. ერთი ის მახსოვს, რომ კვერცხებს ვაგროვებდით და ვისაც კვერცხი არ ჰქონდა ფულს ან ტკბილეულს გვაძლევდა. ვინც არაფერს არ მოგვცემდა სპეციალური სალანძღავი სიმღერა ვიცოდით და იმას დავაძახებდით. ის ტექსტი ახლა აღარ მახსოვს, თორემ გეტყოდი. სამაგიეროდ სხვა ტექსტები მახსოვს. ერთი იყო ასეთი:*

„ალათასა, ბალათასა,

ხელი ჩავყავ კალათასა,

ადე, დედი, კვერცხი მომე,

ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

კიდევ ერთი ასეთი ლექსი მახსოვს:

„ტაბახმელის გორიდანა,

ტყვია მოდის ზუზუნითა,

ადე, ქალო, კვერცხი მომეც,

ნუ გამიშვებ წუწუნითა“ [ანზორ რ. მ. 74 წ.].

კრწანისში ჩავიწერეთ ჭონასთან დაკავშირებული შემდეგი სარიტუალო ტექსტი: „ალათასა, ბალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა,

დედი, ერთი კვერცხი მომე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

ახალი სახლი დაგიდგამს, გარს შემოგირტყამს ფიჭვიო,

ღმერთმა ყველა გაგიზარდოს, გოგო იყოს თუ ბიჭიო“ [ოთარ ბ. Თ. 79 წ.].

ჭონას რიტუალი სოფელში უფრო სრულდებოდა, ვიდრე ქალაქში. ეს განპირობებულია ქალაქის ბუნებისა და ცხოვრების წესიდან. თბილისის საგარეუბნო სოფლებში, განსაკუთრეთრებით შინდისსა და ტაბახმელაში, ახალგაზრდები დღესაც ჩამოივლიან ხოლმე ჭონაზე.

§ 2.4. დოდოობა და ჯოჯოობა

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ცნობით, წმინდა დოდო დავით გარეჯელის ერთ-ერთი მოწაფე იყო, კახელი თავადი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ გარეჯელ მამებს შეუერთდა. მან VI საუკუნის პირველ ნახევარში გარეჯის სანახებში დაარსა მონასტერი, ე.წ. დოდოს რქა. თბილისში წმინდა დოდოს სახელობის საყდარი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტეხის ეკლესიის ქვევით, სამხრეთისკენ მდებარეობს. ამ მტკვრისპირა ქვაბულში ჯერ დავით გარეჯელი ცხოვრობდა, შემდეგ წმინდა დოდო დამკვიდრდა.

თბილისელები აღდგომის კვირას, სამშაბათ დღეს აღნიშნავდნენ დოდოობის დღესასწაულს, რომელიც ავლაბარში მდებარე, ძაღლის უბანში იმართებოდა. ხალხს წმინდა დოდო უიღბლო ადამიანების მფარველად მიაჩნდათ. ამიტომ წმინდა ადგილთან მიდიოდნენ ისინი, ვისაც რომელიმე ახლობელი სახლიდან შორს, ციხეში ან ტყვედ ჰყავდა. წმინდა დოდოს მღვიმესთან სალოცავად მისულ ქალს თან აუცილებლად უნდა წაეღო შაქრის ნატეხი. შაქარს იქ არსებულ ხვლიკს უგდებდნენ. ამ დროს თუ ხვლიკი ქალს პირდაპირ თვალებში შეხედავდა, ეს კარგის მომასწავებელი იყო. (რ. თოფჩიშვილი 2017).

დოდოს გამოქვაბულმა დროთა ვითარებაში სახელი იცვალა და მას „ჯოჯოს გამოქვაბულად“ მოიხსენიებდნენ, დღესასწაულსაც ჯოჯოობა დაერქვა. უცნობია, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილება. წერილობით თუ ზეპირ წყაროებში არ მოიძებნება მსგავსი ინფორმაცია. სახელწოდების ცვლილების მიუხედავად, დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ელემენტები იგივე დარჩა, ქალები შაქრის ნატეხებით მიდიოდნენ სალოცავთან და თავიანთი სურვილების შესრულებას სთხოვდნენ. არსებობს გადმოცემა,

რომლის თანახმადაც დიდი ხნის წინ ძველ ავლაბარში ცხოვრობდა ვიღაც, უცხო კაცი, რომელიც სასწაულებს ახდენდა, ერთი ხელის მოსმით ჭორფლს აქრობდაო. მაგრამ რა კავშირში იყო ძაღლის უბნის ჯოჯო იმ სასწაულმოქმედ ადამიანთან, აღარავინ იცოდა. ჯოჯოობის რიტუალს მრავალი ადამიანი ასრულებდა, მაგრამ XIX საუკუნის შუა ხანებში თბილისელებს ის აღარც ახსოვდათ. ეს იყო ძველ ქალაქელთა ერთ-ერთი იმ მრავალ წეს-ჩვეულებათაგანი, რომელიც შთამომავლობას შემოენახა, მაგრამ რაღაც სახეცვლილებით (თ. ბერიძე 1980).

ქართული საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა დოდოს ხსენების დღეს ამაღლების შემდგომ ოთხშაბათ დღეს აღნიშნავს, რაც არ ემთხვევა დოდოობის/ჯოჯოობის აღნიშვნის გახალხურებულ ვარიანტს.

§ 2.5. კვირაცხოვლობა

თბილისელები აღდგომის სწორს, ე.ი. ერთი კვირის შემდეგ კვირაცხოვლობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

კვირაცხოველის ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდხევის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შემაღლებულ ადგილას. დღეს მას ეკლესიის სახე დაკარგული აქვს და საცხოვრებელ შენობადაა გადაკეთებული. როდის და ვინ ააშენა კვირაცხოველის სახელობის ეკლესია უცნობია. ვახუშტი ბაგრატიონს ის დატანილი აქვს თბილისის 1735 წლის გეგმაზე. ეკლესიის მიმდებარე გორაკ სამლოცველოები გვაფიქრებინებს, რომ კვირაცხოველის ეკლესია უფრო ადრინდელი უნდა იყოს. თეიმურაზ ბერიძის აზრით, ეკლესია შეიძლება ღვთაება კვირიას საკულტო ნიშის ადგილას ააგეს. საგულისხმოა, რომ წარმართ ღვთაება კვირიამ ქრისტიანულ რელიგიაში კვირაცხოვლობის სახელი მიიღო. „*მლოცველთა შეგნებაში წარმართულ*

ღვთაება კვირიას და ქრისტიანულ ეკლესია კვირაცხოველს ერთი და იმავე ფუნქციის შესრულება ევალებოდათ. ეს სალოცავები განაგებდნენ ამქვეყნიურ საქმეებს. ამაზე მეტყველებს კვირიას ეპითეტები: ხმელთმოურავი, კარავიანი. მას ეკუთვნოდა ცოდვა-მადლის განკითხვა, წულიანობა, მოსავლიანობა, განაყოფიერება და სხვ. თვით სახელი „კვირაცხოველი“ კომპოზიტი უნდა იყოს კვირიასა და „ცხოველისა“. „ცხოველი“ ცოცხალს ნიშნავს, ე.ი. კვირია სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღვთაებაა. შეიძლება ძველად, ქართველი ხალხის წარმართობის დროს, დღევანდელი კვირაცხოვლის ეკლესიის ადგილზე იდგა წარმართი კვირიას კარავი“ (თ. ბერიძე 1977).

ივანე ჯავახიშვილი კვირიას შესახებ აღნიშნავს, რომ „ხმელთ მოურავ“ ღვთაებას კვირიას ეძახიან, სამყაროში რაც კი რამ მოხდება მოეკითხება, ხმელეთზე კარავიც უდგას და „კარავიანს: უწოდებენ. მას სამართლის საკითხებიც მოეკითხებოდა (ივ. ჯავახიშვილი 1979).

რაც შეეხება კვირაცხოვლობის დღესასწაულის აღნიშვნას, არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში დიდი ზეიმი იცოდნენ. ამ დღეს ქართველებს წესად ჰქონდათ ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩაგდებაში. მრევლს სწამდა, რომ რომელი მხარესაც გაიმარჯვებდა და ბურთს აიღებდა, მთელი წელი ბარაქა ექნებოდა. ზოგჯერ ბურთს ნაკუწ-ნაკუწ ჭრიდნენ და ინაწილებდნენ, იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბურთს. სულ პატარა ნაკუჭის პატრონიც დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს მთელი წელი სიუხვე და ბარაქა არ მოაკლდებოდა. კვირაცხოვლის გორას „წითელ გორას“ ეწოდებდნენ. დღესასწაულის მსვლელობისას აქ წითელ კვერცხებს აგორებდნენ და ვისი კვერცხიც ყველაზე შორს გაგორდებოდა, მოგებულიც ის იყო. ეს წესი საქართველოში რუსებს შემოუტანიათ (თ. ბერიძე 1980).

§2.6. ამქრის დღესასწაული

თბილისელთა ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას ხელოსნობა წარმოადგენდა, რომელიც თავის რჩენის საუკეთესო საშუალებად იყო. კარგი ხელოსანი ძვირადაც ფასობდა.

ჯერ კიდევ ფეოდალიზმის პერიოდში თბილისი წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ხელოსნობამ განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწია. XII-XIII საუკუნის თბილისში არსებობდა შუა საუკუნეების ცნობილი ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი. ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგი კერამიკული წარმოება იყო. აქაური ხელოსნები დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ როგორც მოჭიქულ და მოუჭიქავ ჭურჭელს, ისე სამშენებლო მასალას - აგურს, კრამიტს და სხვ. თბილისური კერამიკული ნაწარმი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. გარდა კერამიკული წარმოებისა, ფართოდ იყო განვითარებული საფეიქრო წარმოება. თბილისელი ფეიქრები აწარმოებდნენ მატყლის, აბრეშუმის და სელის ქსოვილებს. ქალაქში მრავლად იყვნენ ავეჯის მკეთებლები, მღებავები, მკერავები, მეხამლეები, მეპატრაკეები (ტყავის დამმუშავებლები), მეაბჯრეები, მზარეულები, მენელსაცხებლეები, ეტრატის დამამზადებლები, გადამწერები, ფერმწერნი და სხვ.

მტერთა მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ მოსპო თბილისის ხელოსნური წარმოების დონე. *"მისი ხელახალი აღორძინება დაიწყო XVII საუკუნის დასაწყისიდან. XVIII საუკუნეში, სამეფო ხელისუფლების ინიციატივითა და ხელშეწყობით, თბილისში დაარსდა მთელი რიგი მსხვილი საწარმოები, რომლებიც საისტორიო წყაროებში "ფაბრიკებად" და "ქარხნებად" იწოდებოდა. თბილისში მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგი იყო საფეიქრო წარმოება. მას უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივი ნედლეული და იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ მეზობელი სახანოებიდან. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში დაახლოებით 800 ათასი არშინი სხვადასხვა ქსოვილი და ბამბის ნართი შეიტანეს"* [რ. თოფჩიშვილი 2017:87].

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში თბილისში ხელოსნობის ოცამდე სახეობა იყო განვითარებული, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულს მათი რიცხვი ორჯერ

გაიზარდა. ნელ-ნელა შემოდის და ფეხს იკიდებს ევროპული ტანისამოსის დამზადებაც, ადგილობრივი ხელოსნების გვერდით ევროპელი ხელოსნებიც ჩნდებიან (გ. ბაქრაძე 1958).

როგორც დავინახეთ, XIX საუკუნეში თბილისში ხელოსნობის განვითარებას უფრო დიდი მასშტაბები მიეცა. დედაქალაქში არსებობდა სათანადო ხელოსნური ორგანიზაცია - ამქარი. ამქარი წარმოადგენდა ერთ ან რამდენიმე მონათესავე ოსტატთა გაერთიანებას, რომელთაც გარკვეული წესდება ჰქონდათ, სადაც მკაცრად იყო დაცული კოლეგიალობა. თბილისში ამქარმა შედარებით დასრულებული სახე XVII საუკუნეში მიიღო. სიტყვა "ამქარი" კი საქართველოში XIX საუკუნეში გავრცელდა. მანამდე ხელოსანთა პროფესიული გაერთიანების გამოსახატად იყენებდნენ შემდეგ ტერმინებს - ჯამაათს, ურთაღს, ოფიქალს, თაბუნს, ასნაფს და ა.შ.

ხელოსნობის თითოეულ დარგს თავისი ამქარი ჰყავდა. ამ ორგანიზაციაშ შესვლა ყველა ადგილობრივ ხელოსანს შეეძლო, მიუხედავად წოდებისა და ეროვნებისა. ყველა ამქარს თავისი საკუთარი დროშა ჰქონდა, რომელზეც საკუთარი სიმბოლო იყო გამოსახული. ამქარს ხელმძღვანელობდა უსტაბაში. მას კენჭისყრით ირჩევდნენ. უსტაბაში თავის თანამდებობაზე იქამდე რჩებოდა, სანამ შრომა შეეძლო. ამქრის სტრუქტურა მოიცავდა ასევე ოსტატს, ქარგალს და შეგირდს. შეგირდად მიბარების ასაკი მტკიცედ არ იყო განსაზღვრული, მაგრამ ძირითადად 8-დან 10 წლამდე ხდებოდა. შეგირდი, ვიდრე ქარგალი გახდებოდა, თავისი შესასწავლი ხელობის გარდა ასრულებდა ყოველგვარ წვრილმან საქმეს, რასაც ოსტატი დაავალებდა. შეგირდს სხვადასხვა საქმეში სცდიდნენ.

ამქარს, რომელიც ასეთ დიდ პროფესიულ გაერთიანებას წარმოადგენდა თავისი დღესასწაული ჰქონდა, რომელსაც ყველა ერთად აღნიშნავდა. იოსებ გრიშაშვილი ასე აღწერს ამქრობას: "*საქეიფოდ ყოველ ამქარს წელიწადში გაზაფხულის ერთი დღე ჰქონდა არჩეული. თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში (აღდგომის ორშაბათიდან ამაღლებამდე) ორთაჭალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები ახმაურებული იყო ამქართა დღესასწაულებით. მიდიოდნენ ქალაქის ბაღებში, დაჰკლავდნენ სამღვთოს და ამზადებდნენ შილაფლავს. ეს შილაფლავი რიგდებოდა ღარიბ-ღატაკთა შორის და ერთ კარგა მოზრდილ ქვაბს, თავის "ჯვარისმამის ლავაშებით", ციხეშიც უგზავნიდნენ*

პატიმრებსა. ამავე დღეს ხდებოდა ახალგაზრდა ხელოსნების დალოცვა... ხელოსნად დალოცვა ასე ხდებოდა: ერთი დარგის ხელოსნის წარმომადგენელნი შეიკრიბებოდნენ სახელოსნოებთან, აიღებდნენ დროშას და ზურნის დაკვრით გაემგზავრებოდნენ წინასწარ დანიშნულ რომელიმე ბაღში დასალოსად გამზადებულნი იმით განირჩეოდნენ სხვა ამქრის წევრებისაგან, რომ ამ სადღესასწაულო კრებულს წინ მიუძღოდნენ ალამდარის გასწვრივ, წელზე აბრეშუმის სარტყელ-შემოკრულნი. ამ სარტყელს დალოცვის შემდეგ უსტაბაშს უტოვებდნენ. სარტყელში გამაგრებული ჰქონდათ თავიანთი ხელსაწყო იარაღი... მოდღესასწალენი და მედღეობენი ძირითადად მიდიოდნენ ბაღში. ერთ მხარეს იდგა ვეებერთელა ქვაბი, რომელშიაც შილაფლავი მზადდებოდა, მეორე მხარეს -ლურჯი სუფრა იყო გაშლილი, რომელზედაც თეფშების ნაცვლად - ვაზის, ლეღვის ან კომბოსტოს ფოთლები ელაგა, ხოლო ჭიქების ნაცვლად კი თიხის ფიალები იყო ჩამწკრივებული. სუფრის გარშემო ლაპლაპებდნენ წმინდა სანთლები, რომლებიც უეჭველად ძირამდე უნდა ჩამწვარიყო.

აი, ამ დროს, მთელი ამქრის თანდასწრებით, ხდებოდა ახალგაზრდა ქარგლის ხელოსნად დალოცვა... ამ დალოცვაზე მოწვეული ჰყავდათ მღვდელიც, რომელიც დალოცვის წინ ხელოსანს ზნეობრივ დარიგებას აძლევდა, ხოლო უსტაბაში კი სამჯერ შემოჰკრავდა სილას და, ეს იყო ატესტატის მიცემა ხელოსნისათვის... ამის შემდეგ სუფრას შემოუსხდებოდნენ და იმართებოდა ლხინი და სადილი.

ეს ზეიმი გრძელდებოდა ორ-სამ დღეს. პირველი დღის ქეიფი განსაკუთრებულ, დალოცვის დღედ ითვლებოდა. მეორე დღეს მარტო უფროსები ქეიფობდნენ. მესამე დღეს - ნამცეცობა ერქვა.

ამ დღესასწაულის დასასრული ასეთი იყო: საღამოს პირზედ ყველანი ერთად - თაიგულებით, ანთებული სანთლებით, ჩირაღდნებით და ზურნით ბაღიდან ბრუნდებოდნენ და ისევ იმ სახელოსნოსთან მივიდოდნენ, საიდანაც პირველად დაიძრა პროცესია. ეხლა დუქნის წინ გაიმართებოდა ქეიფი; იყო სიმღერა, ცეკვა, ყიჟინა. თუ ბაღში გამართულ ლხინზე პირველი სადღეგრძელოთი გარდაცვლილ ოსტატებს ივონებდნენ და ფიალას პურზედ "თავს წაუქცევდნენ", აქ, ამ ახალ სუფრაზე, ეს ნაბახუსევი ხალხი

სუფრის სილაზათეს ვეღარ იცავდა და ქეიფი უთავბოლო ღრიანცელით თავდებოდა" [ი. გრიშაშვილი 1986:37-39].

ამრიგად, ამქარი წარმოადგენდა ხელოსანთა პროფესიულ გაერთიანებას. ისინი გაზაფხულით მართავდნენ თავიანთ დღესასწაულს - ამქრობას, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

თავი III. ზაფხულის ციკლის დღესასწაულები

§3.1. ვიჭაკი

თბილისელები ზოგჯერ მაგიურ ქმედებებსაც მიმართავდნენ, მათთვის საყვარელი ქმედება იყო მკითხაობა, რომელსაც ვიჭაკს უწოდებდნენ. ამაღლების[5] წინა დღეს თბილისელი ქალები მიდიოდნენ ავლაბარში, ხოჯევანქის სასაფლაოზე. სანამ უშუალოდ ვიჭაკის ჩვეულების დახასიათებას შევუდგებით, უპრიანია ორიოდე წინადადებით ვისაუბროთ ხოჯევანქის სასაფლაოს შესახებ. ხოჯევანი/ ხოჯევანქი/ ხოჯავანქიი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის - ავლაბრის შემადგენელი ნაწილი იყო. ამავე სახელწოდებითაა ცნობილი XVII საუკუნის სომხური ეკლესია. ეს სახელწოდება ეკლესიის მიმდებარედ არსებულ სასაფლაოზეც გავრცელდა. ხოჯევანქის სასაფლაო იხსენიება XVII საუკუნის როსტომ მეფის წყალობის წიგნში, როდესაც მეფემ 1654 წელს ხოჯა ბეჰბუდას[6] უწყალობა მიწა სასაფლაოს გვერდით (თ. კვირკველია 1985).

ხოჯავანქის სასაფლაოზე მისული ქალების მიზანი ვიჭაკი - მკითხაობა იყო. *„მკითხაობა მანტიური ზნე-ჩვევა არის, რომელიც სათავეს საუკუნეთა მიღმიდან იღებს. მისი მიზანია ისეთი რამის გაგება, რაც ბუნებრივი გზით ადამიანს არ შეუძლია. ვიჭაკისათვის სასაფლაოს იმიტომ ირჩევდნენ, თითქოს მიცვალბულთა სულიც ეხმარებოდათ მომავლის სწორ გაგებაში, ახსნაში. ვიჭაკიც სწორედ ახსნას, გამოცნობას, მკითხაობას ნიშნავს. ვიჭაკი ანიმისტური რიტუალი იყო“* [თ. ბერიძე 1980:129].

ვიჭაკის წესი მეტად მარტივი იყო. მკითხაობის მსურველი ქალიშვილი დილით უმძრახად დგებოდა და უჩუმრად გადიოდა სახლიდან. უმძრახადვეუნდა შემოევლო შვიდი ჭა ან წყარო და ჭურჭელი წყლით აევსო. წყალი ვიჭაკის დროს ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველებში წყლის სტიქიის მაგიური ძალისადმი რწმენა იმდენად ძლიერია, რომ ბუნების ეს მოვლენა ადამიანის ბედ-იღბლის გამგებელ-მარეგულირებლადაც მიიჩნეოდა. წყლის სტიქიაზე, მის

[5] ქრისტიანული საეკლესიო კალენდრის თანახმად, ამაღლების დღესასწაული აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღინიშნება.

[6] ზარაბთუხუცესი, ქ. თბილისის მამასახლისი 1646 – 1661 წწ., თბილისის მელიქი 1661წ. ისტორიული წყაროები მას მიაწერენ მდინარე ვერეზე ხიდის მშენებლობას.

ღვთაებრივ ძალაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის არა მარტო დღევანდელობა, არამედ ეს მის მომავალსაც გამსაზღვრავს (ზ. თანდილავა 1996). ვიჭაკის დროსაც განსაკუთრებული წესების დაცვით მოჰქონდათ წყალი. ამ რიტუალში მონაწილე სხვა ქალები წყლიან ჭურჭელს ფერადი ნაჭრებითა და სხვა მოსართავებით რთავდნენ და შიგ რაიმე ნივთს აგდებდნენ: კენჭს, ბეჭედს, საყურეს, სამაჯურს და სხვ. როცა ამ ყველაფერს შეაგროვებდნენ, მაშინ ამოიღებდნენ ხმას. თუ წყლის შემგროვებელი მანამდე დაილაპარაკებდა, სამკითხაო წყალი ჰკარგავდა თავის მაგიურ თვისებას და მკითხაობა შეუძლებელი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში წყალს გადაჰღვრიდნენ და მეორე დილით თავიდან უნდა მოეტანათ წყალი.

ვიჭაკი აუცილებლად საღამოს სრულდებოდა, ნასადილევს. პირველი ქმედება წყლიანი ჭურჭლიდან ნივთების ამოღება და წყლის გარშემო წრიულად განლაგება იყო, რომელსაც პატარა გოგონა ასრულებდა. ის თავისი მშობლებისათვის პირველი შვილი უნდა ყოფილიყო. ვიჭაკისათვის აუცილებელი იყო თურქულად მოსაუბრე ქალი, რომელსაც თურქულ ენაზე შესრულებული სიმღერები უნდა ეთარგმნა. . სიმღერის თითოეული სტროფის დასასრულს გოგონა ჭურჭელში ხელს ჰქოფდა და ერთ ნივთს იღებდა. სიმღერის ტექსტის მოსმენა აუცილებელი იყო, რადგან მისი შინაარსი ბედნიერებაზე, წარმატებაზე, სიყვარულზე, სატრფოს პოვნაზე, გათხოვებაზე და სხვა მსგავს თემებზე იყო.

ვიჭაკის დასასრულს აუცილებელი იყო ვახშამი, რომელიც ერთ-ერთი დამსწრის ოჯახში იმართებოდა. მასპინძელი საგანგებოდ ემზადებოდა ამ დღისათვის. წვეულებაზე აუცილებელი იყო დაირაზე დაკვრა, ცეკვა და სიმღერა (თ. ბერიძე 1980).

§3.2. მთაწმინდობა

თბილისელთა სასეირნო და დასასვენებელ ადგილს მთაწმინდა წარმოადგენდა, სადაც მდებარეობდა მამა დავითის ეკლესია, საიდანაც თითქმის მთელი თბილისი მოსჩანს. თბილისელები დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ მთაწმინდობას, ანუ წმინდა დავითობას, რომელიც აღდგომის მეშვიდე კვირის ხუთშაბათ დღეს მოდიოდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში VII საუკუნეში ქრისტიანული რელიგიის საქადაგებლად ცამეტი ასურელი მამა ჩამოვიდა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დამკვიდრდნენ. ბერი დავითი თბილისის გარეუბანში, მთაზე დასახლდა. პირვანდელმა ეკლესიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია და დღევანდელი ეკლესია XIX საუკუნისაა. დიდი ეკლესიის სამხრეთით მდგარი პატარა ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში აიგო. ეკლესიის საშენი მასალა, აგური, მთის ძირას ეწყო და ყოველ მლოცველს, ეკლესიაში ასვლისას თან უნდა აეტანა რამდენიმე აგური. ხალხის დახმარებით ასე აშენებულა წმინდა დავითის პატარა ეკლესია.

მთაწმინდობის დღესასწაულზე მლოცველი ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს. ეს გარემოება ერთ-ერთი ლეგენდით შეიძლება ავხსნათ. გადმოცემის თანახმად, სანამ მამა დავითი გარეჯაში გადასახლდებოდა, ღმერთისთვის უთხოვია ისეთი წყარო, რომელიც უშვილო ქალებს, დალევის შემდეგ, შვილოსნობას მიანიჭებდა. ღმერთს წმინდა მამის თხოვნა შეუსრულებია და ეკლესიასთან ახლოს წყარო აღმოცენებულა (ი. ბალახაშვილი 1951).

მთაწმინდობას, დილით, გარიჟრაჟზევე იწყებოდა მთაწმინდისაკენ მლოცველთა სვლა. თბილისის და მის ახლო სოფლებში მცხოვრებნი ფეხით, სახედრებით, ცხენებით და ურმებით მიდიოდნენ დღესასწაულზე. შორიდან ეს ყველაფერი მოძრავ ჯაჭვს ჰგავდა.

"ვაჭრები სახელდახელოდ პატარა დუქნებს აწყობდნენ. მაუდის ჩოხებში გამოწყობილი მოჯირითრენი უშიშრად დააქროლებდნენზღვა ხალხში თავიანთ ბედაურებს. ქალები დასეირნობდნენ ჯგუფ-ჯგუფად. უკრავდა ზურნა და დუდუკი. ისმოდა ტაშის ხმა. ცეკვავდნენ ლეკურს. ზოგი ქეიფობდა, ზოგი ყოჩების ჭიდილს უმზერდა და სხვ." [ი. ბალახაშვილი 1951:58].

მთაწმინდაზე ასულ მლოცველები, სანამ ეკლესიაში შევიდოდნენ, ეკლესიისთვის სამჯერ უნდა შემოევლოთ და თან ძაფი შემოეხვიათ მისთვის. ეს მათი რწმენის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

თეიმურაზ ბერიძე აღნიშნავს, რომ მთაწმინდაზე მოსულ მლოცველებს კიდევ ერთი ჩვევა ჰქონიათ. იმის გასაგებად, შეუსრულდებოდათა თუ არა ოცნება, ჩანაფიქრი, სურვილი, რაც ეკლესიაში ღმერთს შევედრეს, ეკლესიის დასავლეთ კედელში გარედან

ჩადგმულ რკინის კარს კენჭს მიადებდნენ. თუ კენჭი კარზე გაჩერდებოდა მათი სურვილი ასრულდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არა. მლოცველები დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ კლდიდან ჩამოშლილი ან დაძრული ქვის ხმაურზე.

მთაწმინდის ეკლესიაში არსებობდა ბავშვის შეწირვის წესი. ოჯახი, რომელსაც ხშირად ეღუპებოდა ბავშვები, რამდენიმე ხნით მამა დავითის ეკლესიაში სხვა შვილს. „შეწირული ბავშვი“ რამდენიმე ხნით თამგაუკრეჭავი დადიოდა და ტანზე გამუდმებით თეთრი ტანსაცმელი ეცვა. ეს დათქმული დრო, რომ გავიდოდა, ბავშვს ფეხშიშველი აიყვანდნენ ეკლესიამდე, მღვდელი თმას მოაჭრიდა, ფერად ტანსაცმელს ჩააცვამდა და დალოცავდა. ოჯახი ბოლოს საკლავს კლავდა.

მთაწმინდობის დღესასწაულის დასასრულს, წირვა-ლოცვის შემდეგ იწყებოდა დიდი სეირნობა, ისმოდა საზანდრის, დუდუკის და დაირას ხმა. იმართებოდა ჭიდაობაც (თ.ბერიძე 1980).

§3.3. სულთმოფენობა

ივნისის თვე მრავალფეროვანი საეკლესიო და სახალხო დღესასწაულებით არ გამოირჩეოდა. თუმცა ამ თვეში კათოლიკეები აღნიშნავდნენ *"წმინდა სულის მოფენის დღეს"* [თ.ბერიძე 1980:137]. იგი შემდეგნაირად აღინიშნებოდა: წირვის დასრულების შემდეგ მლოცველები მიდიოდნენ სოლოლაკის უბანში მდებარე კათოლიკურ სასაფლაოსკენ. მრევლის მსვლელობას ეკლესიის წინამძღოლი ხელმძღვანელობდა, რომელსაც მოჰქონდა საჩრდილობელს მოფარებული ქრისტეს წმინდა ნაწილები მგალობელთა გუნდისა და მუსიკის თანხლებით. წმინდა სულის მოფენის სადღესასწაულო პროცესიაში მონაწილეობდნენ თბილისში მოსახლე ყველა ეროვნების კათოლიკეები: ქართველები, პოლონელები, სომხები, გერმანელები, რუსები და სხვ. გოგონებს და ყმაწვილებს ხელში ყვავილებით სავსე კალათები ეჭირათ და გზადაგზა კალათიდან იღებდნენ ყვავილებს და ქუჩაში აბნევდნენ, რაც სიმბოლურად სულისა და მადლის მოფენას გამოხატავდა.

სასაფლაოზე იდგმებოდა ოთხი ტახტი - ოთხი სახარების წასაკითხად. თითოეული სახარება იკითხებოდა ქართულად, ლათინურად, პოლონურად და სომხურად. სხვადასხვა ენაზე სახარების კითხვა სიმბოლური მნიშვენლობის იყო და ასახავდა ქალაქებსა და სოფლებში მოსიარულე მქადაგებელ იესო ქრისტეს. ბიბლიიდან ცნობილია, რომ წმინდა სულის მოფენის დღესვე მოხდა სასწაული - იესოს მოწაფეებმა - მოციქულებმა უცებ ერთმანეთისათვის გაუგებარ სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი (თ. ბერიძე 1980).

წმინდა სულის მოფენის დღესასწაულს არა მხოლოდ კათოლიკეები, არამედ მართლმადიდებლებიც აღნიშნავენ და მას სულთმოფენობის დღესასწაულს უწოდებენ. სულთმოფენობა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება.

§3.4 ელიაობა

ძველი თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის ელიას უბანი მდებარეობდა. უბნის სახელი დაკავშირებულია, დარ-ავდრის გამგებელ ღვთაება ელიასთან, რომლის სახელობის ეკლესიაც ამ უბანში იდგა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ხალხური თქმულებებში, ღვთაებათა უფროს-უმცროსობის მიხედვით, ელიას მესამე ადგილი უკავია, რომელიც არის "*წვიმა-სეტყვისა, მეხისა, ტაროსისა და ავდრის ბატონი, იგი შემოქმედს ექვემდებარება და მის სურვილს ასრულებს ხოლმე"* [ივ. ჯავახიშვილი 1979:85].

თბილისელები ელიაობას 20 ივლისს ზეიმობდნენ. თბილისის საგარეუბნო სოფლების - დიდუბის, კუკიის, ჩუღურეთის, ავლაბრის და სხვათა მცხოვრებნი ელიას პატივსაცემად აკეთებდნენ თოჯინა "ელიას" და სიმღერით კარდაკარ ჩამოვლას იწყებდნენ. ოჯახის პატრონს დღესასწაულში მონაწილეთათვის წყალი უნდა გადაესხა და თან კვერცხი და ფქვილი გაეტანებინა, თან წყლით გაეწუწა. მონაწილენი კარდაკარ შემოვლას, რომ დაასრულებდნენ, იწყებდნენ შეგროვილი კვერცხებისა და ფქვილის გაყიდვას, რათა ამ ფულით ბატკანი და ცხვარი ეყიდათ. "*ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ, თხას კი - ელიას. თუ გვალვიანი ამინდი იყო, ასეთი სიმღერა სრულდებოდა:*

დიდება და დიდება'

ღმერთსა დიდება!

ღმერთო, მოგვე მოწყალება,

ღმერთსა დიდება!

ნუ იაღებ ჩვენზე ხელსა,

ღმერთსა დიდება!

ჩვენო წმინდა ელია,

რისთვის მოგიწყენია,

ჩვენი თეთრი ბერწი ფური

შენთვის მოგვირთმევია!

აღარ გვინდა გოროხი,

აღარ გვინდა ტალახი.

დიდება და დიდება

ღმერთსა დიდება"

[თ.ბერიძე 1977:179].

გვალვის საპირისპიროდ, ავდრის დროს, ელიას პირიქით მზეს და კარგ ამინდს შესთხოვდნენ. "*აღარ გვინდა ტალახი, აღარ გვინდა გოროხი"* [თ.ბერიძე 1977:180].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შემოქმედ ღმერთს ბატკანს შესწირავდნენ სამსხვერპლოდ, ელიას კი თხას. ელიასათვის თხის შეწირვა შემთხვევითი არ არის. ქართულ ტრადიციაში თხის სიმბოლო მრავალ რიტუალში მონაწილეობს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვით. მაგალითად, იგი ფიგურირებს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში, ნიღბოსნურ დღესასწაულებში (ბერიკაობა-ყეენობა), სამკურნალო რიტუალებში, საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში, ასევე ამინდის გამომწვევ რიტუალებში და სხვ. საქართველოში თხა ამინდის ღვთაების ერთ-ერთ ზოომორფულ ემბლემას წარმოადგენს. გვალვა-დელგმასთან დაკავშირებული რიტუალების დროს სწორედ თხას სწირავენ, როგორც ეს ხდება ელიაობის დროს (ნ. აბაკელია 1997).

§ 3.5. რიგისპური

თბილისელები ქეიფისა და ლხინის მოყვარული ხალხი არიან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში. ამის ნათელი მაგალითია გასული საუკუნის ერთ-ერთი ჩვეულება, რომელიც "რიგისპურის" სახელითაა ცნობილი. მისი ძირითადი არსი უქმე დღეების სარფიანად გატარებას გულისხმობდა.

ოცი, ოცდაათი კაცისგან შემდგარ ნადიმს, რომელსაც ადგილობრივი თბილისელები მორიგეობით მართავდნენ "რიგისპური" ერქვა. ის ძირითადად ზაფხულის ცხელ დღეებში იმართებოდა. პურობა შუადღის ორ საათზე იწყებოდა და გვიანობამდე გრძელდებოდა. ლხინის დაწყებისთანავე ირჩევდნენ თამადას, რომელიც ენამოსწრებული და კარგი სიტყვა-პასუხის მქონე უნდა ყოფილიყო. თამადა პირველად სვამდა იმ ადამიანის სადღეგრძელოს, ვის ოჯახშიც უნდა გამართული შემდეგი რიგისპური. მერე კი სხვადასხვა სადღეგრძელოებით აგრძელებდნენ. ისმოდა ოხუნჯობა, შაირი, ცეკვა-სიმღერა. ხშირად სუფრაზე თბილისელ მომღერლებსაც იწვევდნენ, მათ შორის პოპულარული იყო სათარა.

ამ ტრადიციული პურის ჭამის მთელი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მასპინძელს "მოქიშპე" დაეჩრდილა ღვინის საუკეთესო ხარისხით, კერძების რიცხვით, გემრიელი საკვებითა თუ ტკბილეულით. ყოველი მომდევნო სუფრა უფრო მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, რაც მასპინძელი ოჯახის ღირსების საკითხი იყო. ასეთ "მოქიშპედ" კი ითვლებოდა წინა რიგის პურის მომწყობი.

ზაფხულში, მზიანი ამიდნის შემთხვევაში, რიგისპურს ზოგჯერ ორთაჭალისა და კრწანისის ბაღებში აწყობდნენ. ღია ცის ქვეშ, ბალახზე ფენდნენ სუფრას და ძირითადად ცივ კერძებს ამზადებდნენ, ხაშს კი ცივ დღეებში მიირთმევდნენ. რიგისპურის მსვლელობისას რამდენჯერმე გაისვრიდნენ თოფს.

რიგისპურს მხოლოდ გართობის და ქეიფის ფუნქცია არ ჰქონდა. მას მეტად სერიოზული შეკრებებისთვისაც იყენებდნენ. მაგალითად, XIX საუკუნის 30-იან წლებში, 1832 წლის შეთქმულების წევრებმა რიგისპური კონსპირაციული შეკრებისთვის გამოიყენეს (ი. ბალახაშვილი 1951).

ამრიგად, რიგისპური გართობისა და ერთმანეთთად დაახლოების საუკეთესო საშუალება იყო.

თავი IV. შემოდგომის ციკლის დღესასწაულები

§ 4.1. თბილისობა

შემოდგომის ციკლის დღესასწაულებს განეკუთვნება თბილისობა, რომელის აღნიშვნასაც არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. თბილისობა არის მრავალსაუკუნოვანი ქალაქის ყველაზე "ახალგაზრდა" დღესასწაული.

თბილისობა პირველად 1979 წლის 28 ოქტომბერს აღინიშნა და ამ წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად აღინიშნება. მხოლოდ 1990-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარე, რამდენიმე წელი შეფერხდა თბილისობის აღნიშვნა. 1995 წლიდან კი კვლავ განახლდა. პირველივე თბილისობამ განსაზღვრა მისი ხასიათი და გადაწყდა მისი აღნიშვნის ტრადიციად დანერგვა.

პირველად თბილისობის აღნიშვნის მიზანი იყო - გაეცოცხლებინათ ძველი და თანამედროვე თბილისის ყოფა. ჩანაფიქრის თანახმად, თბილისის ისტორიულ უბნებში ეროვნულ ტანისამოსში, ასევე ყარაჩოღელისა და კინტოს ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს უნდა ევლოთ, ფაეტონით ესეირნათ, მტკვარზე ტივი ჩაშვებულიყო, აივნებზე ფარდაგები გამოეფინათ და თბილისელი "კნეინები" გადმომდგარიყვნენ, გლეხებს სოფლიდან სურსათ-სანოვაგე ჩამოეტანათ და მათი გამოფენა, ყიდვა-გაყიდვა გამართულიყო, რათა ამით საქართველოს სხვადასხვა მხარე წარმოეჩინათ. შეეწვათ მწვადი, ღია ცის ქვეშ საწნახელში ყურძენი დაეწურათ და ქართული, ტრადიციული სადღეგრძელოები ეთქვათ. გამართულიყო თეატრალური სანახაობანი, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, წაეკითხათ ლექსები და და საჯაროდ აერჩიათ საპატიო მოქალაქეები. იდეა პირველივე წელს წარმატებით განხორციელდა და, არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობამ სიხარულით აიტაცა ინოვაციური დღესასწაული. ყველა თაობის ადამიანი აქტიურად ჩაება. ხალხი სიხარულით ელოდა წლიდან წლამდე ამ დღესასწაულს. ყოველ წლიურად უფროდაუფრო მრავალფეროვანი ხდებოდა წარმოდგენები და გართობა-სანახაობანი.

თბილისი, როგორც ცნობილია, თავისი არსებობის დასაწყისიდანვე მრავალეთნიკური და შესაბამისად მრავალკულტურული ქალაქი იყო, სადაც ყველა ეროვნების წარმომადგენელი თავისი კულტურითა და ტრადიციებით თანაარსებოდა. თბილისობის დღესასწაულზე, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც გათვალისწინებული იყო და აბანოთუბანში გამართულ ღონისძიებებში კარგად შეიმჩნეოდა. თბილისობის ორგანიზატორები ქალაქს ისე რთავდნენ, რომ მნახველი სხვადასხვა დროში მოგზაურობდა. (https://www.ambebi.ge/article/144593-rodis-da-ratom-daarsda-tbilisoba-dgesascaulis-amsaxveli-pirveli-istoriuli-kadrebi/)

თბილისობის დღესასწაული სტუმრებს საშუალებას აძლევს გაეცნონ არა მხოლოდ თბილისურ კულტურას, არამედ აქ წარმოდგენილ თითქმის მთელი საქართველოს ტრადიციულ ყოფას, დააგემოვნონ ქართული კერძები, შეიძინონ ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები, რომლებიც მრავლადაა გამოფენილი. ამ დღით მთელ ქალაქში საზეიმო განწყობა სუფევს. ამავე დღეს, სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ადამიანეს ანიჭებენ საპატიო თბილისელის წოდებას და საჯაროდ აჯილდოვებენ. პირველ თბილოსობას, 1979 წელს საპატიო წოდება მიანიჭეს ოთხ ადამიანს:\

1. *ლადო გუდიაშვილი - საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.*
2. *კონსტანტინე ილურიძე - ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი.*
3. *აკაკი შანიძე - ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*
4. *შუშანა ჩიქოვანი - საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.* http://www.tbilisi.gov.ge/page/3187

თავდაპირველად, თბილისობის დღესასწაული ოქტომბრის უკანასკნელ შაბათ-კვირას აღინიშნებოდა, ბოლო რამდენიმე წელი კი ოქტომბრის პირველ შაბათ-კვირას გადმოიტანეს.

თავი V. სპორტული გართობა - სანახაობანი

თბილისში სპორტული გართობა - სანახაობის სხვადასხვა სახეობა იყო გავრცელებული, რომელიც თითქმის ყველა დღესასწაულს ახლდა თან. თბილისელებში მეტად პოპულარული სპორტის სახეობები იყო: ჭიდაობა, კრივი, ცხენოსნობა, ჩოგანი, გადრი, რადი, რადრაბაგანი, დოღი, ყაბახი, ისინდი, ართრუმა და სხვ.

შუა საუკუნეების ქართველი პოეტის - ჩახრუხაძის ცნობით, თამარის სასახლესთან მდებარეობდა იპოდრომი. ერეკლე II-ის ვაჟი, ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მეფის სასახლესთან იყო მოედანი, რომლის თავსა და ბოლოში იდგა ბურთის გასატანი კარი, რომელსა "მაყა" ეწოდებოდა.

ნათლისღების დღესასწაულზე, იანვარში, ჯერ რიყეზე, შემდეგ კი ე.წ. ვორონცოვის ხიდის ზემოთ, გამოცდილი მოცურავეები მტკვრის მორევში გადაეშვებოდნენ. ამ სანახაობას ათიათასობით თბილისელი ესწრებოდა. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ თბილისში გავრცელებული იყო ცურვა - სალაღობო, რომელიც თანამედროვე მხატვრული ცურვის მსგავსია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში თანდათან მკვიდრდება სპორტის კლასიკური სახეობები (რ. თოფჩიშვილი 2017).

§ 5.1. კრივი და მისი სახეობები

თბილისელებში XIX საუკუნის 70-იან წლებამდე პოპულარული იყო კრივი, რომელიც ფიზიკური ვარჯიშობის სახეობას წარმოადგენდა. კრივი სხვადასხვანაირი იყო: მუშტის კრივი, ხრიდოლი, რაც ცალი ხელით კრივს გულისხმობდა და სალდასტი - ქვის კრივი. ყველაზე მეტად მუშტის კრივი და სალდასტი იყო გავრცელებული. გაზეთი "ივერია" გვაუწყებს, რომ მუშტის კრივი ზაფხულში, ქალაქის ქუჩებში, ხოლო სალდასტის კრივი ზამთარში, ქალაქ გარეთ იმართებოდა. კრივს ჰქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვეულებაზე დამყარებული. კრივში წართმეული იარაღი, სარტყელი, ქუდი თუ ნაბადი ითვლებოდა ნადავლად. თბილისში, როდესაც კრივი იმართებოდა, მაყურებლები ადიოდნენ სახლის სახურავებზე და იქიდან ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლებს. კრივს

განსაკუთრებით ახალგაზრდები მისდევდნენ. კრივში გამარჯვებული ვაჟები ქართველი ქალის თვალში უფრო დაფასებულები იყვნენ ("ივერია" 1885 №1).

ძველად სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად ითვლებოდა - ჩრდილოეთისა და სამხრეთის. კრივი იმართებოდა სხვადასხვა ადგილას: ზარაფხანის ახლოს (მეტეხის ციხის ქვემო ნაწილი); სიონის ქუჩაზე, "ჭირიანთ ხევში", სიონის ქუჩაზე, კოლორთაღის მოედანზე და სხვ.

კრივი ძირითადად კვირა დღეს იმართებოდა, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლისღების მეორე დღეს, რადგან მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო, ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე ფართომასშტაბიანი კრივი, რომელიც "ავლაბრის კრივი" სახელითაა ცნობილი კვირაცხოვლობის დღესასწაულის დასასრულს იმართებოდა.

კრივი იწყებოდა მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილით ყიჟინით. ხშირად მუშტის გარტყმა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ არემარე ბანს აძლევდა. პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა, შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები ებრძოლებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ 25-30 წლის ვაჟკაცების რიგი დგებოდა, ბოლოს კი გამოცდილი ფალავნები ნამდვილ კრივს აწყობდნენ. თბილისის ცნობილი მოკრივეები ყოფილან: საათო, კუნძუა, ქაჩალა, გიჟმიხაკა, ვირჯოხა და სხვ.

კრივი ზოგჯერ კრახით მთავრდებოდა, მაგალითად 1851 წლის 4 თებერვალს გამართულ კრივში სამასი კაცი დაჭრილა და ხუთი დაღუპულა. ამის შემდეგ ნიკოლოზ პირველს ბრძანება გაუცია, რომ კრივში აკრძალულიყო იარაღის გამოყენება და მხოლოდ მუშტი-კრივი იყოს ნებადართული. პოლიციას მკაცრად უნდა ეკონტროლებინა კრივის შეჯიბრი (ი. გრიშაშვილი 1986).

ამრიგად, კრივი XIX საუკუნის თბილისში მოსახლეობის გართობისა და ვარჯიშის სახეს წარმოადგენდა.

§ 5.2. ჭიდაობა

XIX საუკუნეში გავრცელებულ ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართულ ჭიდაობას, რომელიც ძველთაგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

თბილისში ჭიდაობა იმართებოდა სხვადასხვა უბანში - ფიქრის გორაზე, ოქროყანაში, ისანში, ნაძალადევსა და სხვა ადგილებში. თითოეულ უბანს თავისი ფალავანი ჰყავდა (მ. გორგაძე 1959). თაობიდან თაობაში გადადიოდა სახელგანთქმული ფალავნების სახელები. თბილისის ცნობილი მოჭიდავეები იყვნენ: ივანე ყირიმელაშვილი, ნესტორ ესაბუა, დავით ხიზამბარელი, ივანე ყირიმელაშვილი იგივე კულა გლდანელი, ალექსანდრე კახნიაშვილი, ირაკლი ვაჩნაძე და სხვ. ცნობილი ფაქტია, რომ კულა გლდანელს თიანეთში დიდი ჭიდაობა გაუმართავს და შემოსული თანხით ვაჟა-ფშაველას პეტერბურგში სასწავლებლად წასვლა დაუფინანსებია.

ქართულ ჭიდაობას XIX საუკუნის თბილისში თავისი წესი და რიგი ჰქონდა. მოჭიდავეები გაღეღილი საჭიდაო ჩოხით იყვნენ შემოსილი. ის უმთავრესად უქმე დღეებში იმართებოდა. პირველობას ერთმანეთს ქალაქის სხვადასხვა უბნის ფალავნები ეცილებოდნენ. მიიჩნევენ, რომ ჭიდაობა თბილისში სოფლებიდან გავრცელდა. ბევრისთვის ჭიდაობა პროფესიად იქცა. მსაჯებად მაყურებელთაგან ამორჩეული პირები ინიშნებოდნენ, ხოლო საჭიდაო წრეში წესრიგის დასაცავად ყოჩაღ ბიჭებს არჩევდნენ, მათ მაყურებლის მეთვალყურეობა ევალებოდათ. საჭიდაო წრეში ნახერხი ეყარა. ერთ-ერთი უძველესი ასეთი წრე მთაწმინდაზე იყო, ასევე მუშტაიდის ბაღში, სადაც ყველაზე უფრო ხშირად იმართებოდა ჭიდაობა. შერკინებას შნოსა და ლაზათს მატებდა ზურნის ხმა. საჭიდაო სანახაობას უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა. აღნიშნავენ, რომ მოჭიდავეთა შერკინებას ზოგჯერ ათი ათასი კაციც კი ესწრებოდა. ასპარეზობის დღეებში საჭიდაო წრეებთან თავს იყრიდა ქალაქის ეტლები, ურიკები, რომლებსაც უამრავი მაყურებელი მოჰყავდა.

ქართული ჭიდაობის პოპულარობას და მის ასეთ ფართო მასშტაბიანობას სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიც განაპირობებდა, რომ ყაბახისა და დოღისგან განსხვავებით,

ის არავითარ ხარჯებს არ მოითხოვდა, მხოლოდ მოჭიდავეთა ფიზიკურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული (რ.თოფჩიშვილი 2017).

§ 5.3. ცხენოსნობა და მისი სახეობები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემონახული იყო ცხენოსნური სპორტის ზოგიერთი სახე. თუ წარსულში ცხენოსნობა და მისი სახეობები ფეოდალური კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ჯირითი, მარულა და სხვა სახეობები, ხელმისაწვდომი გახდა გლეხობის განსაზღვრულ ნაწილში. თბილისელებში ცხენოსნობა მეტად პოპულარული იყო და მას სხვადასხვა სახელითაც მოიხსენიებდნენ, მაგალითად ჩოგანი, გადრი, რადი და რადრაბაგანი. სპორტის ეს სახეობანი XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ შემორჩა.

XVII საუკუნეში თბილისში ნამყოფი დოინჯი კარლი ასე აღწერს რადრაბაგანს: „*ამ თამაშობაზე რადრაბაგანისათვის ჩოგნები ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური რაკეტების მსგავსადაა გაკეთებული, მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდომნი თამაშობენ. ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი სჯობს. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება“.* ცხენბურთის თითოეული გუნდი 12-12 მოთამაშე ცხენოსნისგან შედგებოდა.

თბილისელები ერთმანეთს ეასპარეზებოდნენ ჯირითსა და მარულაშიც. მარულა დოღს წარმოადგენდა. მარულას სარბენი მანძილი 15-25 კმ-ის უდრიდა. მარულას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც 2 – 3 თვე გრძელდებოდა. ცხენი სპეციალურ კვებაზე ჰყავდათ, რომ წონა დაეკლო. მარულის დროს მხედარ ბიჭს წითელ ხალათს ჩააცმევდნენ. მარულის ჩასატარებელი ადგილი წრეს წარმოადგენდა.

ცხენით თამაში იყო „თარჩეი“. ამ თამაშის დროს, ერთი რომელიმე ცხენოსანი მასპინძლებისგან ან მშვენიერი ქალისგან ღებულობს ჩითის ნაჭრებს, შეკერილ წუღებს, წაბლს და გააჭენებს ცხენს. სხვები მას გამოეკიდებიან, რომ გამოართვან თარჩეი. ცხენოსანი თუ დაიჭირეს თარჩეის გამოართმევენ და შემდეგ მას გაეკიდებიან. რომელ ცხენოსანსაც ვერ დაიჭერენ და დანიშნულების ადგილს მიაღწევს გამარჯვებულიც ის

ხდება. ამ თამაშით მხედრები ცდილობენ მიიპყრონ ქალების ყურადღება (მ. გორგაძე 1959).

პეტრე უმიკაშვილი ასე აღწერს 1874 წელს გამართულ ჯირითს: „*ჯირითი გაიმართა შაბათს მკათათვის ოცსა. მუდამ თბილისში მცხოვრებ კაცსა კარგა ხანია დავიწყებია ჯირითი, ათასში ერთხელ ამაღლება დღეს დამოჟნის ქუჩაზე წინ და უკან ცხენების ჭენებას გამართავენ უშნოთ, ერთმანეთის ჯოხების სროლით. ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ უფრო იყო, ეხლა დავიწყებიათ, ამის გამო თბილისში მცხოვრებისათვის საამო საყურებელია ჯირითი და მგონია ყველასთვისაც*“[უმიკაშვილი 1874].

თბილისის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი საყვარელი სანახაობა იყო ყაბახი. ერთ-ერთი მოგზაური ასე აღწერს XVII საუკუნის 90-იან წლებში გამართულ ყაბახს, რომელსაც პირადად დასწრებია: „*თბილისში მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილზე თავადები მოიპატიჟეს. განკარგულება იყო გაცემული, ქალაქგარეთ დიდ მინდორზე ყაბახი გაემართათ, მინდვრის ცენტრში მაღალი ბოძი აღმართეს, მის წვერზე ვერცხლის თასი მოათავსეს. თამაშის მონაწილენი ცხენებზე ამხედრდნენ. ისინი ყანახის მოშორებით განლაგდნენ და მოქმედებისთვის მოემზადნენ. ხელში მოიმარჯვეს მშვილდისრები. აი, მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და ყაბახისაკენ გაეშურა. იგი თვალს არ აშორებდა ყაბახზე დამაგრებულ თასს, მიუახლოვდა ყაბახს და ისარი სტყორცნა, ისარმა ახლოს გაიარა თასთან, ასე იმეორებდნენ სხვანიც. ბოლოს ერთმა თასი ძირს ჩამოაგდო, რამაც საზოგადო აღტაცება გამოიწვია.*

იგივე მოგზაური მოგვითხრობს, რომ ყაბახის შემდეგ მეორე თამაშობა გამართეს, და აი მეორე თამაშს ასე აგვიწერს: რვად განაწილდნენ და იწყეს ბურთის თამაში. ასეთი ვარჯიშობის დროს ამ ხალხს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. მათ ცხენის მართვა შესანიშნავად იციან. ბურთის მიწიდა აღების დროს ისე იხრებიან ცხენიდან, რომ ჰგონიათ, ცხენიდან გადმოვარდებიანო. ამ მეორე თამაშს „ჩოგანბურთს“ ან კიდევ „ცხენბურთს“ ეძახიან“[დ. გვრიტიშვილი 1952: 235-236].

სპორტული გართობა-სანახაობანი თბილისური დღესასწაულების თანმხლები ნაწილი იყო, არც ერთი დღესასწაული არ მთავრდება კრივის, ჭიდაობის, ბურთაობის ან

სხვა რომელიმე სანახაობა, რომ არ გამართულიყო, ეს კიდევ უფრო ამაღლებდა სადღესასწაულო განწყობას.

დასკვნა

როგორც დავინახეთ, ნაშრომში განხილულია XIX – XX საუკუნეების თბილისისათვის დამახასიათებელი დღესასწაულები და გართობა-სანახაობანი, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება. დასკვნები გამომდინარეობს ნაშრომში განხილული თეორიული და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ყურადღება გავამახვილეთ, როგორც ხალხურ ისე საეკლესიო დღესასწაულებზე.

თბილისური დღესასწაულები საზოგადოების გართობისა და ურთიერთობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც ხალხი ერთმანეთს იცნობდა, უზიარებდა შეხედულებებს, ემოციებსა და ურთიერთდამოკიდებულებას. ხალხური დღესასწაულები არა მხოლოდ თბილისელთა, არამედ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა შეკრებისა და საერთო ზეიმის საშუალებას წარმოადგენდა. დღესასწაულებზე ხშირი იყო სოფლიდან ჩამოტანილი სურსათ - სანოვაგის რეალიზება, თბილისურ საამქროებში დამზადებული ნივთების გამოფენა - გაყიდვა ა.შ. ზოგადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესასწაულებზე ხალხის დასწრება და მონაწილეობა წარმოადგენს საზოგადოებრივი კავშირების ფორმების ტრადიციულ გამოხატულებას და არსებული კავშირების შენარჩუნების სურვილს. დღესასწაულებსა და რწმენა - წარმოდგენებს განსხვავებული სოციალური მიზიდულება, გამძლეობა და მასშტაბი აქვს.

კვლევამ აჩვენა, რომ დღესასწაულები და გართობა- სანახაობანი, რომელიც XIX – XX საუკუნეების თბილისათვის იყო დამახასიათებელი, ზოგი ერთი მათგან დღეს ეთნოგრაფიული ყოფიდან საერთოდ გაქრა. უფრო მეტიც, ახალგაზრდებმა არაფერი იციან მათ შესახებ.

ნაშრომის მომზადების დროს მივედით იმ დასკვნამდე რომ ეს დღესასწაულები იყო სტიმული მომავალი მეომრის აღსაზრდელად. ამიტომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები დროს არ კარგავდნენ და ყველაფერს ცდილობდნენ იმისთვის, რომ ქართველი მუდამ მზად ყოფილიყო მტრის დასახვედრად. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ხალხურ დღესასწაულებზე გამართული სპორტული შეჯიბრებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაკელია 1997: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი, 1977.
- აბაკელია 1991: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, გამომცემლობა „კრიალოსანი“, 1991.
- ბალახაშვილი 1951: ბალახაშვილი ი., ძველი თბილისი, თბილისი, „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1951.
- ბაქრაძე 1958: ბაქრაძე გ., მრეწველობის განვითარება თბილისში XIX საუკუნეში, თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1958.
- ბერიძე 1977: ბერიძე თ., ...და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, გამომცემლობა „‘ნაკადული“, 1977.
- ბერიძე 1980: ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1980.
- გეგეშიძე 1978: გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978.
- გვრიტიშვილი 1952: გვრიტიშვილი დ., მესხია შ., თბილისის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „სალბიტგამი“, 1952.
- გიორგიძე 1888, გიორგიძე პ., აფხაზეთი და აფხაზნი, გაზეთი „ივერია“, 1888 №188.
- გორგაძე 1959: გორგაძე მ., ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- გრიშაშვილი 1985: გრიშაშვილი ი., თხზულებანი 5 ტომად, ტომი III.,თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.
- გრიშაშვილი 1986: გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1986.
- თანდილავა 1996: თანდილავა ზ., წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 1996.

- თოფჩიშვილი 2010: თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიული ეთნოლოგია, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2010.
- თოფჩიშვილი 2017: თოფჩიშვილი რ., გვიმრაძე თ., ეთნოლოგიური თბილისი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017/
- „ივერია“ 1885 №1.
- „ივერია“ 1888 №49.
- „კვალი“ 1893 №6.
- კვირკველია 1984: კვირკველია თ., ძველი თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1984.
- კვირკველია 1985: კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.
- რუხაძე 1999: რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში: ბერიკაობა - ყეენობა, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1999.
- რუხაძე 1980: რუხაძე ჯ., ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა; ტრადიცია და თანამედროვეობა №4, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1980.
- უმიკაშვილი 1974: უმიკაშვილი პ., ჯირითი, „სასოფლო გაზეთი“, 1874 №11.
- ქორიძე 1955: ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, (ენეოლითი - გვიან ბრინჯაოს პერიოდი) ნაწ. I., თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, 1955.
- ქურდოვანიძე 2010: ქურდოვანიძე თ., ფოლკლორი, კრებული - საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია, რ. თოფჩიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.
- ღუდუშაური 2010: ღუდუშაური თ., აგრალური ხალხური დღესასწაულები, კრებული - საქართველოს ეთნოლოგია/ეთნოგრაფია, რ. თოფჩიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.
- ჯავახიშვილი 1979: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

გამოყენებულია შემდეგი ბმულები:

- https://www.ambebi.ge/article/144593-rodis-da-ratom-daarsda-tbilisoba-dgesascaulis-amsaxveli-pirveli-istoriuli-kadrebi/)
- http://www.tbilisi.gov.ge/page/3187
- *[http://plus.kvira.ge/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93/].*

გამოყენებული პირადი საველე დღიური:

- მეზურნიშვილი ქ., თბილისის ეთნოლოგიური ჩანაწერები, საველე დღიური 1, თბილისი, 2019. პირადი არქივი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanties

Master of Art's Degree Program - **Ethnology**

Mezurnishvili Keti

Holidays and Entertaining Shows in Tbilisi in XIX – XX centuries

Thesis submitted to obtain the Master's Degree in Ethnology

The supervisor: Temur Gvimradze

TSU Associated proffesor, PhD in History

Tbilisi

2019